# ლელო

№149 (12 219) 27 ივნისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვნებები გურიის გამო

გუშინ, ლანჩხუთში გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ხელახალი ყრილობა უნდა გამართულიყო. კულუარებში არ მალავდნენ, რომ ზეწოლას უშუალოდ დურმიშხან ჩხაიძეზე მოახდენდნენ. რითი შეიძლებოდა ჩხაიძის დაშინება თუ მასზე ზეწოლა? ფაქტობრივად, არაფრით, რადგან ის კარგა ხანია სახელმწიფო უწყებაში არ მუშაობს და უფულოდ მიტოვებულ „გურიას" რატომ ინახავო, ამას მოტივად ვერავინ დაუდებდა. სავარაუდოდ, მას ყრილობის წინა დღეებში მიანიშნეს, რომ თუ პრეზიდენტი გახდებოდა, გრფფ „ვერ გაიხარებდა". ჩხაიძეც გარანტიებს ითხოვდა, რომ გადადგომის შემთხვევაში, ლანჩხუთის ფეხბურთს არ გაწირავდნენ. შესაძლოა, შეთანხმება შედგა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაცხადდა, რომ მის ალტერნატივად „გურიის" ექსფეხბურთელი და ახლა საფეხბურთო სკოლის დირექტორი გუჯაბიძე იყო წარდგენილი. დღეს უკვე აშკარა ხდება, რომ ფეხბურთის ფედერაცია გურიის რეგიონულ ორგანიზაციას გიორგი ნემსაძის მხარდამჭერისთვის სჯის. ყრილობის წინა დღეს, სფფ საგანგებოდ ალმასკომის წევრების სატელეფონო გამოკითხვას აწყობს და 13-დან მხოლოდ გიორგი ტყავაძემ არ დაუჭირა მხარი ერთობ აბსურდულ გადაწყვეტილებას - რაკი ოზურგეთის ფეხბურთის ფედერაციის წევრები გაგუა და ჩხაიძე არ იყვნენ მიწვეულნი ყრილობაზე, ის გადაიდოს საკითხის სრულად შესწავლამდე.

სანამ კომენტარებზე გადავალთ, რამდენიმე უზუსტობაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც ფედერაციის მიერ გამოგზავნილ წერილშია დაშვებული: „ის სხდომა, რომელზეც გაგუა და ჩხაიძე მიწვეულები არ იყვნენ", ჩატარდა 5 ივნისს და „დაუპატიჟებელ წევრებს" ეს ყრილობის წინა დღეს, 25 ივნისს გაახსენდათ, ან „გაახსენეს". აქ აშკარად ჩანს, რომ „დაინტერესება იყო". ამას გარდა, საინტერესოა, სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნების წინ, ვთქვათ გურიისა და სამეგრელოს რეგიონულ ფედერაციებს ფიფაუეფაში ყრილობის წინა დღეს რომ გაეგზავნათ წერილი, სუბიექტები არ დაგვპატიჟესო, მოვიდოდა თუ არა იქიდან ასეთი აბსურდული გადაწყვეტილება, ყრილობა გადადეთო?! არავინ უნდა დაინტერესებულიყო, ის სუბიექტები მართლაც გაფრთხილებულები იყვნენ თუ არა? სფფ თავის დროზე 4 დელეგატს სიტყვაზე ენდო და მოკვლევის ჩატარებამდე გააუქმა 8 სუბიექტის გადაწყვეტილება, ახლა კი ისევ სიტყვაზე ენდო 2 „დაუპატიჟებელს" და არად ჩაგდო, რომ 10 დელეგატი გაფრთხილებას „აღიარებდა". და ერთიც: ოზურგეთის ფეხბურთის ფედერაციით მანიპულირება გამართლებული არ არის, რადგან 4-დან ერთი სუბიექტი დურმიშხან ჩხაიძეს უჭერდა მხარს და ყრილობაში მონაწილეობასაც გეგმავდა...

2



## შაშიაშვილის შტურმი: ორწლიანი გაფორმებულია

2

## სანდრო იაშვილი: სამი წლით შვეიცარიაში

**სანდრო იაშვილის** უცხოეთში წასვლის საკითხი გადაწყდა. ფორვარდი შვეიცარულ ექსპოლიგის (უმაღლესი) "თუნში" ითამაშებს.

ინფორმაცია "დინამოს" პრესსამსახურმა მოგვაწოდა. იაშვილი თუნში" სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტსაც გააფორმებს. მხარეებს შორის წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია. ეს ინფორმაცია სანდრო იაშვილის აგენტმა, გერმანიაში მოღვაწე **მალხაზ მუსერიძემაც** დაგვიდასტურა: "*დიახ, მართალია. "თუნთან" შეთანხმება უკვე მიღწეულია. მე და სანდრო ხვალ ან ზეგ შვეიცარიაში გავემგზავრებით. იაშვილი "თუნში" სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტსაც გააფორმებს*".

იაშვილი "თუნთან" სავარაუდოდ სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს (1+2 სისტემით) და მუდმივნომრიან მაისურასაც ამის შემდეგ გადასცემენ.

სანდრო იაშვილით ავსტრიული "რაპიდი", დანიური "ოდენსე", გერმანული "ფრაიბურგი", ბერძნული პაოკ, მოსკოვის "სპარტაკი" და სხვა კლუბები იყვნენ დაინტერესებულნი. ამასთან ფორვარდი გლაზგოს "რეინჯერსის" ინტერესის სფეროშიც მოიაზრებოდა.

რაც შეეხება "თუნს", გასულ სეზონში ამ გუნდმა 36 მატჩში 37 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა. "თუნს" ჰოლანდიელი **რენე ვან ესხი** წვრთნის. ბოლოს გამართულ შეხვედრაში "თუნმა" "კონკორდიასთან" 1:1 ითამაშა. რენე ვან ესხის გუნდი მალე "ბრაიტშ კაპის" გათამაშებაში ჩაერთვება და პარასკევს ამ ტურნირზე ორ მატჩს ჩაატარებს, "იანგ ბოიზთან" და "ვინთერტურთან". სავარაუდოდ, ამ შეხვედრებიდან ერთ-ერთში სანდრო იაშვილიც ითამაშებს.

**დავით ცაბაძე**



სანდრო იაშვილი თუნში ითამაშებს



## კლოზეც ბაიერნში!

### ერიქსონი მანჩესტერ სიტის მოურიგდა

მსოფლიო ფეხბურთის ამბები 5-8

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდიე ოვონოს გერმანიაში, შესაძლოა თანამემამულე შეუერთდეს

დინამო. უცხოური შეკრება

# დუშან უჰრინის 22 გერმანიისთვის

თბილისის "დინამო" გერმანიაში, მოსამზადებელ შეკრებაზე გაემგზავრა, რომელიც 10 ივლისამდე გასტანს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** გერმანული შეკრებისთვის 22 ფეხბურთელი შეარჩია. ამ მოთამაშეთა ჩამონათვალი ასეთია:

მეკარეები: **სოსო გრიშიკაშვილი, გიორგი ლორია, დიდიე ოვონო.**

მცველები: **შოთა კაშია, გურამ კაშია, ნედ ზელიჩი, მილოშ კრშკო, უჩა ლობჟანიძე, გულვერდ თომაშვილი.**

ნახევარმცველები: **დავით დილმელაშვილი, დავით ოდიკაძე, გიორგი ფეიქრიშვილი, სანდრო კობახიძე, გიორგი მერებაშვილი, ოლეგ გველესიანი, ლევან ხმალაძე, ნიკა ფირცხალავა, მიხეილ ხუციშვილი, რეიმონ ვუკუე.**

თავდამსხმელები: **ბორის გონჩაროვი, ზამირ ჯანაშია, ილია სპასოევიჩი.**

ახალწვეულებს გერმანიაში საკუთარ შესაძლებლობათა წარმოჩენის შანსი მიეცემათ და გუნდში მათი დარჩენა-არდარჩენის საკითხიც შესაბამისად გადაწყდება. **ბორის გონჩაროვს** კლუბთან კონტრაქტი 1 ივლისს უმთავრდებოდა, მაგრამ მასთან "დინამომ" ახალი ხელშეკრულება გააფორმა. რაც შეეხება ჩეხ მარცხენა მცველ **მიჰალ ლეშაკს**, რომელმაც გასული სეზონი ჩეხურ "პრიბრამში" ჩაამთავრა, ის სამშობლოში გაემგზავრა და უხმობენ თუ არა გერმანულ შეკრებაზე, ორიოდ დღეში გახდება ცნობილი. ჩამონათვალში არაა გასული ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი **სანდრო იაშვილი**. საქმე ის გახლავთ, რომ მან უცხოეთში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. სიაში არ არიან არც ძმები **ხორგუაშვილები**, რომლებმაც უკვე დატოვეს თბილისური კლუბი.

"დინამოს" გერმანიაში კიდევ ერთი ფეხბურთელი, სავარაუდოდ, ფორვარდი, **კაი რემი**, შეუერთდება.

დაბოლოს, "დინამო" გერმანიაში ტიურინგენის მხარეში, ბადბლანკენბურგის სპორტულ ბაზაზე დაბინავდება. გუნდი ვარჯიშებს დღეს განაახლებს. ხვალ კი გერმანიის რეგიონალლიგის წარმომადგენელ "შტაინაზეს" დაუპირისპირდება.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერი

# შაშიაშვილი შტურმში გადავიდა

## ორწლიანი კონტრაქტი გაფორმებულია

საქართველოს ნაკრების მცველის, **გიორგი შაშიაშვილის** ერთკვირიანი ვიზიტი ავსტრიაში იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ ავსტრიელებმა გიორგის ორი წლით დატოვება მოინდომეს.

*"გიორგი შაშიაშვილი საიმედო მცველია. მას დაცვის ცენტრშიც კარგად შეუძლია თამაში და მარჯვენა ფლანგზეც. საქართველოს ნაკრების მცველი ჩვენთვის სასურველი ფეხბურთელია. ახლა მთავარია, შაშიაშვილის მფლობელ ოდესურ კლუბთან მოხერხდეს სატრანსფერო გარიგების მიღწევა"*, - ეს სიტყვები "შტურმის" პრეზიდენტ **რაინერს** ეკუთვნის.

ჩვენი ინფორმაციით გრაცელებსა და ოდესელებს შორის შეთანხმება შედგა და გიორგი შაშიაშვილმა "შტურმთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გუშინ ქართველმა მცველმა **ფრანკო ფოდას** გუნდში მესამე საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა. გრაცელები ქვედალიგოსან "ლეობენს" დაუპირისპირდნენ" და **სტანკოვიჩისა** და **პერიჩის** გოლების წყალობით 2:0 მოიგეს. "ჰარტბერგთან" 90 წუთისა და სლოვაკეთის ჩემპიონ "ჟილინასთან" პირველი ტაიმის თამაშის შემდეგ, საქართველოს ნაკრების მცველმა, ამჯერადაც ორივე ტაიმი ითამაშა. შაშიაშვილი ფოდამ კვლავ მარჯვენა მცველად გაამწესა და გიორგიმაც ისევ საიმედოდ ითამაშა. სწორედ ამ შეხვედრის მერე გადაწყვიტეს საბოლოოდ ავსტრიელებმა შაშიაშვილის დატოვება.

ცნობა ტრანსფერზე მომუშავე აგენტმა **დავით ყენიამაც** დაგვიდასტურა:

*"გიორგი შაშიაშვილმა ზუსტად ერთი საათის წინათ გააფორმა "შტურმთან" ორწლიანი კონტრაქტი. ის ავსტრიაში დარჩება და ახალ გუნდთან ერთად მოსამზადებელ შეკრებას გააგრძელებს".*

**დავით ცაბაძე**

რეგიონი. გურია

# ყრილობა ისევ გადაიდო

## დურმიშხან ჩხაიძე: ოღონდ გურიას ნუ გაწირავენ და მე მივდივარ!

*პირველი გვერდიდან*

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია გუშინვე გავრცელდა ყრილობის ჩაუტარებლობის შესახებ, გურიის საფეხბურთო საზოგადოებამ დანიშნულ ადგილზე მაინც მოიყარა თავი. ისინი აღშფოთებას ვერ მალავდნენ მომხდარის გამო. შეკრებილთა აზრი ორად გაიყო: ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ სფფ-მ უფლებამოსილებას გადაამეტა და ყრილობა უნდა ჩატარდეს. მეორე მხარეს იყო დურმიშხან ჩხაიძის პოზიცია - უნდა დავემორჩილოთ სფფ-ის გადაწყვეტილებას. საბოლოოდ, ამ აზრზე შეთანხმდნენ, რადგანაც ჩათვალეს, რომ „იმის მერე, რაც ნემსაძეს გაუკეთეს, გრფფ-ის ყრილობის შედეგების გაუქმებაც არ გაუჭირდებათ".

**დურმიშხან ჩხაიძე**
**გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

- როგორც ვხედავ, ეს არის ჩემი პერსონის წინააღმდეგ მიმართული აქცია. არადა, არანაირი დანაშაული არ მიმიძღვის, გარდა ერთისა, თუ ეს დანაშაულია - გიორგი ნემსაძეს ღიად დავუჭირე მხარი. ვინც ორი თამაში ითამაშა, ისინი დაინდეს, მაგრამ მე ამას ვერ გავაკეთებ. სფფ-ის აღმასკომმა სატელეფონო გამოკითხვით ყრილობა გადაგვიდო, ჩვენ კი ოფიციალური წერილობითი დაპატიჟება არ ჩაგვითვალეს. არანაირი გართულება სოსო გაგუასთან და იური ჩხაიძესთან არ მაქვს, მაგრამ მათი ვერ გავიგე. ტელეფონით დავპატიჟე, არ შეიძლებოდაო, ახლა წერილები გავუგზავნეთ, პირდაპირ გადავეცით, ფოსტას ვერ დააბრალებენ და მაინც არ ვართ დაპატიჟებულებიო. მათგან 200 მეტრში ოზურგეთის სხვა წარმომადგენლებმა დაპატიჟება მიიღეს, ამათ - არა. ძალიან გთხოვთ, ამას ლანჩხუთისა და ოზურგეთის დაპირისპირებას ნუ დაარქმევთ, ეს არაფერ შუაშია. ყოველივეს უკან ნიჭიერი რეჟისორი დგას და მას სურს რაიონების წაკიდება. იგივე ბატონებს გაგუასა და ჩხაიძეს მე შეურაცხყოფას არ მივაყენებ, მაგრამ ისინი მარიონეტის როლში არიან და მათთვისაა ეს ცუდი, როცა გამოიყენებენ, გადააგდებენ. ერთსაც გეტყვით, დარწმუნებული ვარ, რომ სფფ-ს ასეთი სურვილი დიდად არ ჰქონია, მაგრამ ადგილზეც სხვადასხვა დონეზე ბევრმა იმუშავა, რომ ყრილობა გადაიდოს. სურთ დაგვლალონ და უარი გვათქმევინონ, თუმცა მჯერა ბრძოლას ბოლომდე გავუძლებთ. ჩემი პერსონაა მავანისთვის მიუღებელი, ამასთან, ზოგს გრიგოლეთის ბაზის წართმევა და „გურიის" განადგურება უნდა. რომ ვატყობ, ჩემს გამო ხდება ყველაფერი, მე მზად ვარ პოსტი დავტოვო.

**- ვინ შეასრულებს მოვალეობას?**

- როგორც წესდებითაა დადგენილი, თუმცა ყრილობამდე, შესაძლოა, მოვალეობა ისევ შევასრულო, ოღონდ კატეგორიულად ვაცხადებ, ახალ არჩევნებში კენჭს არ ვიყრი.

**- ხომ არ თვლით, რომ სფფ უხეშად ჩაერია გრფფ-ის საქმიანობაში. ბოლოს და ბოლოს, არ ენდობა გრფფ-ის პრეზიდენტს და 10 დელეგატს და სიტყვაზე ენდობა ორს...**

- კომენტარი თქვენსავე კითხვაშია.

**- რა იქნებოდა, რომ ჩაგეტარებინათ ყრილობა?**

- ვერ გეტყვით. მე ასე ვამჯობინე, კანონის მორჩილი ადამიანი ვარ.

**- იური ჩხაიძე და სოსო გაგუა რატომ არ დაპატიჟეთ?**

- ჰკითხეთ ერთ-ერთი ოზურგეთული კლუბის პრეზიდენტს, გელა დოლიძეს.

„ლელო" **გელა დოლიძეს** დაუკავშირდა:

- მწვრთნელმა, რომან გაგუამ გადასცა ოფიციალური მოსაწვევები. ჩვენ ერთმანეთში ამაზე გვქონდა საუბარი. ისინი ვერ უარყოფენ, რომ დაპატიჟებულები იყვნენ.

„ლელო" **სოსო გაგუასაც** შეეხმიანა:

**- ბატონო სოსო, „ლელოდან" გაწუხებთ მამუკა ქანთარია...**

- დიახ, გისმენთ.

**- სფფ-მ გრფფ-ის ყრილობა გადადო და მოტივად თქვენი დაუპატიჟებლობა დაასახელა.**

- იცით, ჩვენ ახლა რაზე ვსაუბრობთ?

**- რაზე?**

- აი, თქვენ რომ გეწერათ „ლელოში", დურმიშხან ჩხაიძემ რომ გააკეთა, იმის 5 პროცენტი ოზურგეთელებს გაეკეთებინათო...

**- თქვენ ამბობთ, რომ ეს მეწერა? აბსურდია.**

- თქვენ არ ხართ ქანთარია? „ლელოს" კორესპონდენტი ლანჩხუთში?

**- არა მხოლოდ ლანჩხუთში, გურიაში და ასეთი რამ არ დამიწერია.**

- „ლელომ" ხომ დაწერა...

**- ბატონო სოსო, ნუ იბნევით, ხან თქვენ დაწერეთო, ხან „ლელომ" დაწერაო. შემიძლია გითხრათ, ასეთი რამ არ დამიწერია და არც „ლელოს" სარედაქციო მოსაზრებაა ასეთი.**

- გაზეთში ეწერა.

**- თქვენ ხართ გრფფ-ის გენმდივანი? რომელიმე რესპონდენტმა თუ ასე თქვა, გაზეთთან რა ხელი გაქვთ! გელა დოლიძე ამბობს, რომ თქვენ დაპატიჟებული იყავით ყრილობაზე...**

- კი, ვიყავით, მერე?

**- რაღა მერე, ყრილობა გადაიდო. რატომ არ ჩამოხვედით ან რა წერილი გაგზავნეთ სფფ-ში?**

- ლეგიტიმური არ იყო ეს ყრილობა. მანამდე ხომ უნდა მოგვეთათბირა, თავისით რომ წყვეტს დურმიშხანი ყველაფერს. აბა, მე ლანჩხუთის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

**- გასაგებია. წინა ყრილობაზე რაღა მოხდა? თქვენ ხომ ლანჩხუთში იყავით, დაუპატიჟებლებმა როგორ გაიგეთ, რომ ყრილობა იყო?**

- სწორედ ესაა საქმე, დურმიშხან ჩხაიძემ მოგვატყუა, გიორგი ნემსაძესთან შეხვედრა გვაქვსო, ჩავედით და ყრილობა ყოფილა.

ბოლოს „ლელო" სფფ-ის გენერალურ მდივანს უჩა უგულავას დაუკავშირდა:

**- სფფ-მ გრფფ-ის ყრილობა გადადო. ფაქსში დეტალური განმარტება არ არის, რა დარღვევა დაფიქსირდა...**

- ოზურგეთის ფეხბურთის ფედერაციიდან შემოვიდა წერილი, რომ ისინი არ იყვნენ ჩართულები საქმეში და აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, საკითხის გარკვევამდე ყრილობა გადაიდოს.

**- თქვენ ადგილზე ჩამოსვლას აპირებთ?**

- კი, შევისწავლით საკითხს, შევხვდებით ოზურგეთისა და ლანჩხუთის მხარეს.

**- მხოლოდ 2 დელეგატის განცხადება ყრილობის გადასადებად საკმარისი იყო? თავად ოზურგეთის ფედერაციის წარმომადგენელი ერთი სუბიექტი არჩევნებში მონაწილეობას აპირებდა.**

- აქ ოზურგეთის ფედერაცია არაფერ შუაშია, დაცული უნდა იყოს პარიტეტი.

**- ცოტა გასაკვირია ასეთი გადაწყვეტილება, სიტყვაზე ენდეთ 2 დელეგატს და არ გადაგიმოწმებიათ, ისინი დაპატიჟებულები იყვნენ თუ არა. არადა, ყრილობის ჩატარებაზე ისინი გაფრთხილებულები ყოფილან! გადაუმოწმებლად ყრილობის გაუქმებას ხომ არ ჯობდა, ჩაგეტარებინათ და თუ დარღვევა იქნებოდა, შემდეგ გაგეუქმებინათ?**

- ვერ გეტყვით, ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა — გენერალურ სამდივნოში შემოვიდა აღმასკომის გადაწყვეტილება.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

საქართველოს ჩემპიონატი

## ბორჯომი ისევ დინამოთი დაიგაზება

"ბორჯომი", რომელიც გასულ სეზონში მეცხრე ადგილზე გავიდა, მერმისისთვის მზადებას 28 ივნისს დაიწყებს მშობლიურ ქალაქში.

"ბორჯომიდან" ჯერ მხოლოდ ორი ფეხბურთელი წავიდა - **შოთა ჯიქია** და **ალეკო კოშკაძე**. კლუბის პრეზიდენტმა **დავით გელაშვილმა** გვითხრა, რომ "ბორჯომი" ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდება და შევსებას ძირითადად თბილისის "დინამოდან" მიიღებს.

"დინამოდან" ფეხბურთელის თხოვება "ბორჯომისთვის" ნაცადი გზაა. ცხადია, დინამოელებით თორელები მნიშვნელოვნად ძლიერდებოდნენ და ალბათ ახლაც ასე იქნება.

გელაშვილის თქმით, "ბორჯომს" დამდეგ სეზონში არგავარდნისთვის ბრძოლა არ მოუწევს, ცხრილის შუაში ყოფნა არ გაუჭირდება და იქნებ მეტიც მოახერხოს.

## ქვახაძე სატურნისკენ გაფრინდება

ადრეც გაუწყეთ, რუსულ პრემიერლიგის რამენსკოეს "სატურნი" თბილისის "ვიტ ჯორჯიას" 22 წლის მცველ **ლექსო კვახაძეთი** რომ დაინტერესდა.

სატურნელები კვახაძესთან კონტრაქტის გაფორმებას აპირებენ და ვიტჯორჯიელს დეტალებზე უნდა მოელაპარაკონ - ასეთია ოფიციალური ვერსია. კვახაძე დღე-დღეზე ელოდება რუსეთის ვიზას.

მოკლედ, კვახაძის გასატურნელება სავსებით რეალური უნდა იყოს. ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა. ცხადია, თუ ტრანსფერი გაიჩარხა, "ვიტ ჯორჯიაც" იხეირებს. კვახაძე წინა სეზონის მეორე ეტაპზე ვიტელთა კაპიტანი იყო.

"სატურნში" უკვე თამაშობს ერთი ქართველი და დიდი შანსია, **გოგიტა გოგუას** გვერდით კვახაძემაც ითამაშოს.

**დავით თავართქილაძე**

## ჩიხურა დარჩება?

მიუხედავად იმისა, რომ „ჩიხურას" ჯერაც არ მოუძიებია სპონსორი, შესაძლოა, საჩხერულმა კლუბმა უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა მაინც შეძლოს. „ჩიხურას" პრეზიდენტი **ნოდარ მეგრელიშვილი** ოპტიმისტურადაა განწყობილი.

*„დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი დაფინანსების საკითხი დადებითად გადაწყდება. ცოტა ხნის წინათ უმაღლესის ადგილის სხვისთვის დათმობა ფაქტობრივად, გადაწყვეტილი გვქონდა, მაგრამ ამის შემდეგ, რამდენიმე სავარაუდო სპონსორთან დავიჭირეთ საქმე. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ შეთანხმებას უნდა მივაღწიოთ, ყველაფერი რამდენიმე დღეში გადაწყდება, დიდი იმედი მაქვს, რომ უმაღლესის დატოვება არ მოგვიწევს"*, - აცხადებს მეგრელიშვილი.

დაფინანსების შემთხვევაშიც კი, ძნელი წარმოსადგენია, „ჩიხურამ" მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. გუნდის მთავარი ამოცანა ალბათ, მხოლოდ უმაღლესში ადგილის შენარჩუნება იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტობოლი-ზესტაფონის შემდეგ

# ყაზახეთის სლავური მარგალიტი

ქართული ავიაკომპანიის გადამკიდე კოსტანაის დასათვალიერებლად და იქაური წეს-ჩვეულებების გასაცნობად სულ რაღაც ოთხი საათი დამრჩა, მერე თამაში იწყებოდა. მცირე დრო იყო, მაგრამ საკმარისი ქალაქზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად.

კოსტანაის აეროპორტი საბჭოთა სამხედრო ბაზას ჰგავს. ერთი სამგზავრო თვითმფრინავის გარდა იქ რამდენიმე ძველი ბომბდამშენიც არის გაჩერებული. პატარა აეროპორტია, დაახლოებით ისეთი, კოპიტნარში რომ არის. მომსახურე პერსონალისა და აქაური ძალოვნების შემოსილობა წითელარმიელის ჩაცმულობას წააგავს.

ყაზახური სიცხეების შესახებ ბევრი რამ მსმენოდა. ცოტა არ იყოს ვშიშობდი კიდეც, როგორი გასაძლებია +45 გრადუს სიცხეში, თუმცა კოსტანაიში სასიამოვნოდ გრილოდა. ერთი ეგაა, სასტუმროში მისვლამდე ისეთი სეტყვა წამოვიდა, მომენტალურად თავიდან ბოლომდე რომ გაგვწუნა.

*"კოსტანაი ისეთი ქალაქია, მის გემოს რომ კაცი გაიგებს, ძალიან გაუჭირდება აქაურობის დატოვება. 250 000 ადამიანი ცხოვრობს. აქედან 60 პროცენტი რუსები, უკრაინელები, ბელორუსები და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადმოსახლებული გერმანელები არიან. რამდენიმე ქართველიც ცხოვრობს, სამუშაოდაც ჩამოდიან ხოლმე"*... - გვიხსნის გალიდან დევნილი კოსტანაელი ქართველი **გივი ხელაია,** რომელიც საფეხბურთო კლუბ "ტობოლის" ვიცე-პრეზიდენტია.

ჩვენი ინტერესი იზრდება. რა უნდა იყოს ისეთი ქალაქი, რომ მასთან შელევა კაცს გაუჭირდეს...

აეროპორტიდან ქალაქისკენ მიმავალ გზაზე ძირითადად "ხრუშჩოვკები" გვხვდება. გარდა ამისა რუსული სტილის მორებით ნაგები შეკრული საცხოვრებლები და ერთსართულიანი აგურის სახლებიც. პირველი რეაქცია ასეთია: "ეს არის ნაზარბაევის ნაქები ქვეყანა?" თუმცა რაც უფრო შევდივართ ქალაქის სიღრმეში, კოსტანაიც შორეული პროვინციის პირობებზე ნელ-ნელა ლამაზდება. ქუჩებში მოსიარულე მომხიბვლელი გოგონები ამ ქალაქს დამატებით ეშხს მატებენ. ალბათ, ამიტომაც უჭირს ქართველ კაცს კოსტანაის დატოვება...

პირქუში შენობების მაგივრად უკვე თანამედროვე დიზაინის ნაგებობები გვხვდება. გზებიც მოწესრიგებულია. ცენტრალურ, ტარანისა და ბაიტურსინოვის ქუჩებზე ხუთამდე სასტუმროა განთავსებული. ჩვენი ნავსაყუდელი "ცელინნაია" ისე წააგავს მეორეს, ერთხელ აგვერია-კიდეც.

საკმაოდ წყნარი, მოწესრიგებული ქალაქი ჩანს, სუფთა ქუჩებით, რომლებიც ფეხითმოსიარულეებით მაინცდამაინც არ არის გადატვირთული. ბევრი მაღაზიითა და როგორც გვითხრეს 11 დიდი ბაზრით. ცოტა არ იყოს, ყაზახურ ტენგესთან შეგუება გაგვიჭირდა, რომელსაც დოლართან მიმართებაში იგივე კურსი აქვს, როგორიც დაახლოებით ჩვენს "კუპონს" ჰქონდა. ძვირი ქალაქი არ არის, ქართული ჯიქითაც მშვენივრად შეიძლება ცხოვრება.

რუსული გავლენა ყველგან იგრძნობა, არც არის გასაკვირი კოსტანაი ხომ რუსეთის საზღვრიდან სულ რაღაც 200 კილომეტრში მდებარეობს. მენტალიტეტიც სუფთა რუსულია, ყველა თვალსაზრისით...

*"ყაზახური ენა ძალიან რთულია, დაახლოებით 17 წელიწადია აქ ვცხოვრობ და ვერაფრით ავითვისე. ქალაქის მოსახლეობაც ძირითადად რუსულ ენაზე ეკონტაქტება ერთმანეთს"*, - გვიხსნის გივი ხელაია.

ფეხბურთი ძალიან უყვართ, ჩვენი საუბრით ხვდებოდნენ ქართველები რომ ვიყავით, გვაჩერებდნენ და ზესტაფონის შესახებ გვეკითხებოდნენ. "ტობოლი" ძალიან უყვართ: *"ახლა ჩვენს გუნდს რთული პერიოდი უდგას. ჩემპიონატში ზედიზედ ორ მატჩში დამარცხდით, ახლა მესამე ადგილზე ვართ, მაგრამ შესაძლოა მეხუთეზეც დავეშვათ. გულშემატკივრები მთავარი მწვრთნელის, დმიტრი ოგაის მუშაობით უკმაყოფილონი ვართ. თუ "ზესტაფონთანაც" დაუცდება ფეხი, გუნდში აღარ გააჩერებენ. ასე რომ, დღევანდელი მატჩისთვის მთელი შემართებით ემზადებიან. ჩემი აზრით, მატჩი ფრედ 1:1 დასრულდება"*... გვეუბნება ერთ-ერთი გულშემატკივარი.

ხალხი გულღია და თბილი ჩანს. ყველა გვიღიმის. აგრესია არავის გამოუვლენია. რამდენიმემ ლუდზე და იქაურ ბურახზეც დაგვპატიჟა. აინტერესებდათ რამდენი ხნით ვრჩებოდით, უნდოდათ ქალაქის ღირსშესანიშნაობები საფუძვლიანად დაგვეთვალიერებინა. თუმცა მათზე ადრე კოსტანაში დარჩენას გივი ხელაია და მისი თანხმლები ჩვენი თანამემამულე გვთხოვდნენ, მაგრამ სხვა გზა არ იყო, იმ ღამესვე წამოვედით.

სტადიონისკენ მიმავალ გზაზე რამდენიმე ქართველს გადავაწყდით. *"გვენატრება საქართველო, 18 წლის წინათ სამუშაოდ ჩამოვედით და დღემდე აქ შემოვრჩით, ჩვენს ქვეყანაში რთული ცხოვრება რომ არ ყოფილიყო, ამ სტეპებში არ გადმოვიკარგებოდით"*, - გვეუბნებიან ისინი.

"ტობოლას" სტადიონი 8 000 მაყურებელს იტევს. ტრიბუნები მხოლოდ ორ მხარეს აქვს. კოხტა სტადიონია და გაზონიც მშვენიერია. ადგილობრივები მისი მდგომარეობით ამაყობენ: *"უეფადან დღეს სტადიონის ლიცენზირების ოფიციალური დოკუმენტი მივიღეთ, დღეიდან აქ ნებისმიერ რანგის შეხვედრის ჩატარებას შევძლებთ."*

იქაური სპორტული პრესა თვალით არ გვინახავს. სადაც კი ვიკითხეთ ყველგან რუსული "სპორტ-ექსპრესი" და "ფუტბოლი" შემოგვთავაზეს. სასტუმროს ტელევიზორიც ძირითადად რუსულ არხებს გადმოსცემდა. HTB-ს მთელი პაკეტის გარდა ხუთ ყაზახურ არხს უჩვენებდა. "ტობოლი"-"ზესტაფონის" მატჩს ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეკომპანია პირდაპირ ეთერში გადასცემდა.

გულშემატკივარი გაცილებით მობილიზებული და ორგანიზებული იყო, ვიდრე ქართველი ქომაგი. სტადიონზე გუგუნი მთელი მატჩის განმავლობაში არ დამცხრალა, განურჩევლად იმისა, შეტევაში იყო მათი საყვარელი გუნდი თუ დაცვაში. სტუმრების მიმართაც კეთილგანწყობილი იყვნენ. თამაშის შემდეგ გვამშვიდებენ, "გულს ნუ გაიტეხთ, თბილისში აუცილებლად გაიმარჯვებთო."

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ვერ აქვთ მაინცდამაინც კარგი წარმოდგენა. "საქართველოში მართლა არა გაქვთ დენი და გაზი?", - მეკითხება ახალგაზრდა ჟურნალისტი. ვუხსნი, რომ ეს პრობლემები უკან მოვიტოვეთ და ჩვენი ქვეყანა განვითარების გზას ადგას...

მოკლედ, ასეთია რამდენიმე საათში დანახული კოსტანაი, უპრეტენზიო და სტუმართმოყვარე, ლამაზი გოგონებით და ღიმილიანი სახეებით.

**დათო კოხრეიძე,**
კოსტანაი-ქუთაისი



ამირან გოგიტიძე

## ბათუმში ისევ გაურკვევლობაა

მომდევნო ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი დრო აღარაა დარჩენილი, რამდენიმე გუნდს კი მზადება ჯერაც არ დაუწყია. მათ შორისაა „ბათუმიც", რომლის ხელმძღვანელობაც ახალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის აპირებს ბრძოლას.

რეალობა კი, ჯერჯერობით, ისეთია, „ბათუმის" უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაც კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ადგილობრივ ხელისუფლებას კლუბის ბიუჯეტი ჯერ არ დაუმტკიცებია, დრო კი აღარ ითმენს.

*„ვითარება საგანგაშოა. დღეისათვის ჩვენს კლუბთან კონტრაქტი ერთ ფეხბურთელსაც კი არ აკავშირებს. თუკი უახლოეს დღეებში დაფინანსების საკითხი დროულად არ გადაწყდა, მომავალი სეზონისთვის მზადებას ყოველგვარი აზრი დაეკარგება. თითქმის ყველა ძლიერმა ფეხბურთელმა გუნდი უკვე იპოვა და შესაბამისად, შემადგენლობის დაკომპლექტება ძალიან გაგვიჭირდება"*, - ამბობს „ბათუმის" მთავარი მწვრთნელი **ამირან გოგიტიძე**.

## მერანში სელექცია გრძელდება

დედაქალაქური გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი **თამაზ კოსტავა** ასისტენტებთან ერთად, ფეხბურთელებზე დაკვირვებას განაგრძობს. „მერანი", ფაქტობრივად, ხელახლა კომპლექტდება და მის მწვრთნელებს წინ დიდი სამუშაო აქვთ. შეგახსენებთ, აქამდე თბილისელებმა მხოლოდ სამი ფეხბურთელი დაიმატეს – **სევასტოპულო, ნოზაძე და ავალიანი**.

ზაფხულის პირველ საკონტროლო მატჩს „მერანი" ხვალ ჩაატარებს – „ნორჩ დინამოზე" ქვეყნის ჩემპიონ „ოლიმპს" შეხვდება. სავარაუდოდ, ამ შეხვედრის შემდეგ გუნდის კიდევ რამდენიმე ახალწვეულის ვინაობა უნდა გახდეს ცნობილი. ივლისიდან კი „მერანი" შეკრებაზე გაემგზავრება.

აქვე გეტყვით, რომ „მერანთან" დაპირისპირებაში „ოლიმპის" თავკაცი **ვარლამ კილასონია** გაბონელ **ერნესტ აკასაგასთან** ერთად, კიდევ ერთ სავარაუდო ახალწვეულს, კამერუნელ **ეენი აბანდა პოლინს** დააკვირდება.

## მაღაროელის მიზანი უმაღლესია

როგორც იცით, რამდენიმე დღის წინათ, ჭიათურის „მაღაროელის" მთავარ მწვრთნელად საჩხერის „ჩიხურის" ყოფილი სპორტული დირექტორი **ბადრი ბრეგვაძე** დაინიშნა. „მაღაროელი" გასულ სეზონშიც უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძოდა და მომავალი ჩემპიონატისთვისაც იმავე მიზანს ისახავს.

საამისოდ ადგილობრივი ხელისუფლება არაფერს იშურებს. პირველი ლიგის კვალობაზე, „მაღაროელს" საკმაოდ ნორმალური პირობები აქვს. ახალი სეზონისთვის გუნდი, სავარაუდოდ, ორ შეკრებას გაივლის, პირველს ბაკურიანში, მეორეს კი - ზღვისპირეთში.

*„ნამდვილად გვაქვს საამისო პოტენციალი, რომ უმაღლესისთვის ვიბრძოლოთ. დარწმუნებული ვარ, შარშანდელზე უფრო ძლიერი გუნდი გვეყოლება და წარმატებით ვიასპარეზებთ"*, - იმედოვნებს ბრეგვაძე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# გამეზარდაშვილი: რა დავუშავე ტოპმიოლერს?

ეტყობა, კლაუს ტოპმიოლერი ორთქლის უმტკივნეულოდ ამოშვების თეორიას ჩინებულად ფლობს. როდესაც პრესი ძლიერდება, ნაკრების თავკაცი საზოგადოების ნებას სიტყვიერად მაინც ეთანხმება და საჯაროდ იწონებს მეორე ნაკრების იდეას, მწვრთნელთა საბჭოს, ამა თუ იმ მოთამაშეს, მაგრამ გადის დრო და მოწონებული იდეა ჩაილურის წყალს სვამს.

ასე მოხდა **დავით გამეზარდაშვილის** შემთხვევაშიც. ქუთაისელი ცენტრალური მცველი ჩვენი ჩემპიონატის პირველ წრეში იმდენად გამორჩეული იყო თავის პოზიციაში, "ორთქლის ამოსაშვებად" ურუგვაისთან მატჩისთვის მიიწვიეს და მერე, რა თქმა უნდა, დაივიწყეს. არადა, სწორედ ამ პერიოდში გადავიდა ლატვიის ყველაზე ტიტულოვან კლუბ რიგის "სკონტოში" და დღეს გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრია. თუმცა, მას შემდეგ ნაკრებს მრავალჯერ ჰქონდა საკადრო პრობლემა და ახლოს მაინც არ გაიკარეს.

დათოს "სკონტოში" გატარებულ ნახევარ სეზონზე ვესაუბრეთ: *"ლატვიელებთან კონტრაქტი წელიწადნახევრის წინათ გავაფორმე, მაგრამ ძირითადში მოხვედრა საეჭვო რომ გახდა, დროებით "ტორპედოში" დავბრუნდი. ახლა უკვე ყველაფერი კარგადაა, გუნდს გავუშინაურდი და ყოველთვის ძირითადში ვხვდები. ეს კი მთავარია. შემთხვევით არაფერი ხდება. სულ ნახევარი წელია "სკონტოში" ვარ, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ფიზიკურად უკეთესობა მეგრძნო. შეიძლება, დაუჯერებლად ჩანდეს, მაგრამ ასეა. "სკონტო" ისეთ პირობებში ვარჯიშობს, შეუძლებელია არ გაიზარდო. თითქოს, ერთი ჩვეულებრივი გუნდია, მაგრამ ასეთი პირობებით საქართველოში განებივრებულები არ ვართ."*

მან ლატვიაში ნახა ის, რაც საქართველოში სანატრელია: *"უპირველესად განსხვავება მენტალიტეტშია. რა თქმა უნდა, ქართველებზე მეტი ნიჭი ამათ ლატვიელებს არ აქვთ, მაგრამ საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებაა, გაცილებით მეტი აქვთ პროფესიონალიზმი და ზარმაცებს ვერ იტანენ. ჩვენთან კი, ნიჭიერებს, უმთავრესად, სიზარმაცე ახასიათებთ, ბურთით უაზროდ მატაობა იციან. ლატვიის ჩემპიონატში სწრაფ ტემპში თამაშობენ და თანამედროვედ თამაში აითვისეს. ასეთი მონდომება და ორგანიზაცია ქართველებს რომ გვქონდეს, ჩვენი ჩემპიონატი მაღალი დონის იქნებოდა."* დათომ, "სკონტოსთან" ერთად, ბალტიის ლიგის სადებიუტო სეზონში ითამაშა და ნახევარფინალში გავიდა: *"ძალიან საინტერესო და სასარგებლო ტურნირია. დაძაბული თამაშებია, სამი ქვეყანა ერთმანეთს ეჯიბრება და ამან მთლიანად ბალტიისპირეთში ფეხბურთი ძალიან გამოაცოცხლდა. ასეთი რამ საქართველოსაც არ აწყენდა."*

და ბოლოს, ნაკრებზე: დათო არ მალავს, რომ კლაუს ტოპმიოლერის დამოკიდებულებით უკმაყოფილოა: *"ნაკრებში ტოპმიოლერმა მხოლოდ ერთხელ მიმიწვია და მერე ჩემით ერთხელაც არ დაინტერესებულა. როცა მართლა ავთამაშდი, ერთმანეთზე უკეთესი თამაშები ჩავატარე, ვერანაირი ყურადღება ვერ ვიგრძენი. ერთხელ არავინ დამკავშირებია და რაა დასამალი, გულნატკენი ვარ. ნუთუ, თავის გამოჩენის შანსი ერთხელ მაინც არ უნდა მომცენ? მაინტერესებს, ასეთი რა დავაშავე? ყველამ იცის, აქ რა ძალლის თავიც მარხია და ეს უფრო საწყენია."*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ამისულაშვილი ნალჩიკიდან მიდის, გვაზავა რუსეთის მოქალაქე გახდა

რუსული ინტერნეტგაზეთი "სპორტსდეი" იუწყება, რომ ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველმა ნახევარმცველმა **ლევან გვაზავამ** მოქალაქეობის შეცვლა გადაწყვიტა.

გაზეთში ნალჩიკის "სპარტაკის" შემადგენლობაზე სტატია დაწერეს და ჩვენთვის საინტერესო ფრაზაც იქ ამოვიკითხეთ: *"ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ერთმანეთის კონკურენტები ქართველი* ***ლევან გვაზავა*** *და უკრაინელი* ***სერგეი ფილიპჩუკი*** *არიან. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გვაზავა, ფაქტობრივად, უკვე რუსეთის მოქალაქეა და ძირითადში მოხვედრის მეტი შანსი უჩნდება"*.

"სპორტსდეიში" ძალიან კარგადაა დახასიათებული ყაბარდოელთა მეორე ქართველი, ცენტრალური მცველი **ალეკო ამისულაშვილი:** *"ნალჩიკელთა დაცვის ცენტრში ქართველმა ლეგიონერმა მყარად მოიკიდა ფეხი. იგი კიევის "დინამოს" ეკუთვნის, მაგრამ უცხოელთა სიმრავლის გამო, უკვე მეორე წელიწადია სხვადასხვა კლუბში იჯარით თამაშობს. შარშან ამისულაშვილი შეუცვლელი იყო "შინიკში", წლეულს კი მის გარეშე "სპარტაკის" დაცვაა წარმოუდგენელი"*.

სხვათა შორის, როგორც შევიტყვეთ, ალეკო პირველი წრის შემდეგ "სპარტაკს" ტოვებს და უფრო ამბიციურ კლუბში გადადის. როგორც გვითხრეს, 25 წლის ქართველი მცველით, რუსეთის ორი წამყვანი კლუბი დაინტერესდა, მაგრამ უფრო დეტალურად ვერაფერი გვითხრეს. ამაზე კიევის "დინამომ" ელვისებური რეაქცია მოახდინა და მისი ფასი 800 ათას დოლარამდე გაზარდა.

**მერაბ მამულაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უნივერსალური ფეხბურთელი

## ტრადიციებს კარგად ის აგრძელებს, ვისაც ახალ სიმაღლეზე აჰყავს

ორმოცდაათიანი წლების მიწურულისა და სამოციანი წლების დასაწყისის თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში, უდავოდ, ერთ-ერთი კოლორიტული და გამორჩეული ფიგურა იყო მცველი **გივი ჩოხელი**. შვიდი წლის განმავლობაში თამაშობდა თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში. 1960-62 წლებში მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში, რომლის შემადგენლობაში 19 შეხვედრა ჩაატარა. 1960 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი. მონაწილეობდა მსოფლიოს VII ჩემპიონატში, ჩილეში, 1962 წელს. დღეს, თელავში დაბადებულ შესანიშნავ ქართველ ფეხბურთელს 70 წელი შეუსრულდებოდა.

ქართული ფეხბურთის სტიქია ყოველთვის შეტევა იყო. შემთხვევით როდია, რომ ჯერ კიდევ ომამდელ თბილისის "დინამოს" მიმომხილველებმა "დიდი ურუგვაელები" შეარქვეს. სწრაფი და ტექნიკური სამხრეთელები ლათინოამერიკულ საფეხბურთო სკოლასთან გაცილებით უფრო ახლოს იდგნენ, ვიდრე ევროპულთან. ისინი ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდნენ ლამაზ, სანახაობრივ ფეხბურთს. ეს ქართული ფეხბურთის კრედო იყო. დაცვაში თამაში, მაინც და მაინც, არ უყვარდათ. ხშირად ეს თბილისელებს ხელს უშლიდა უმაღლესი საფეხბურთო მწვერვალების დაპყრობაში.

დაცვა არასდროს ყოფილა ქართული ფეხბურთის კოზირი, მაგრამ ომამდელ და ომისშემდგომ წლებში, "დინამოში" გამოდიოდნენ ნიჭიერი მცველები: **შოთა შავგულიძე, ბორის ფროლოვი, არჩილ კიკნაძე, ნიაზ ძიაპშიპა, ვლადიმერ ელოშვილი.** გივი ჩოხელმა ეს ტრადიციები გააგრძელა და ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა.

გივი ჩოხელის, როგორც ნიჭიერი ფეხბურთელის აღმოჩენას ქართული ფეხბურთი სულმნათი **ანდრო ჟორდანიას** უბადლო სელექციურ ალღოს, ნიჭს, უნდა უმადლოდეს.

1956 წლის შემოდგომაზე თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში ჩაირიცხა პერსპექტიული ფეხბურთელების ერთი ჯგუფი. მათ შორის იყო ახალგაზრდა გივი ჩოხელი.

"დინამოს" ძირითად შემადგენლობაში ჩოხელის დებიუტი მომდევნო, 1957 წელს შედგა. იმ წელს მან მონაწილეობა მიიღო საკავშირო ჩემპიონატის შვიდ მატჩში. ნელ-ნელა დაიმკვიდრა ადგილი თბილისის "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში. მწვრთნელები სულ უფრო ხშირად ენდობოდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელს. 1958 წლის სეზონში მან უკვე 18 მატჩში ითამაშა და ორი გოლი გაიტანა. თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში პირველი გოლის სიხარული კი 1958 წლის 13 მაისს კუიბიშევის "კრილია-სოვეტოვთან" მატჩში განიცადა. ეს შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს დიდი ანგარიშით - 3:0. "დინამოელთაგან" გოლები მის გარდა გაიტანეს **ბასა ლოლობერიძემ** და **კარლო გაგნიძემ**. იმ სეზონში ჩოხელმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი. ეს მოხდა 21 სექტემბერს სტალინოს "შახტიორთან" მატჩში (2:0). გოლები **შოთა იამანიძის** და გივი ჩოხელის წილად მოდის.

1959 წლის სეზონი მის საფეხბურთო კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ითამაშა საკავშირო ჩემპიონატის ყველა შეხვედრაში და თბილისის "დინამოს" დაცვის ლიდერად მოგვევლინა. ამიტომ, არაფერი გასაკვირი არ იყო იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გავრილ კაჩალინმა** 1960 წელს ქვეყნის უპირველეს გუნდში მიიწვია. ცხადია, ეს, ახალგაზრდა ფეხბურთელის დიდი წარმატება იყო.

ფაქტობრივად, გივი ჩოხელი იყო ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი უნივერსალური მცველი. მას შეეძლო წარმატებით ეთამაშა როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა და ცენტრალური მცველის პოზიციაზე. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ევროპული დონის პირველი ქართველი მცველი.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩოხელის დებიუტი შედგა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში მარსელში 1960 წლის 6 ივლისს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: **იაშინი, ჩოხელი, მასლიონკინი, კრუტიკოვი, ვოინოვი, ნეტო, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.** საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დიდი ანგარიშით (3:0) გაიმარჯვა. გოლები გაიტანეს **ვალენტინ ივანოვმა** (2) და **ვიქტორ პონედელნიკმა.** ფინალში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა იუგოსლაველებს სძლია 2:1 და ევროპის თასს პირველი დაეუფლა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამარჯვებაში ქართველმა ფეხბურთელებმა "ლომის წილი" შეიტანეს. ჯერ **სლავა მეტრეველმა** აღადგინა წონასწორობა, ხოლო შემდეგ უკვე დამატებით დროში, მიხეილ მესხის ფილიგრანული გადაცემის შედეგად ლეგენდარულმა ვიქტორ პონედელნიკმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ევროპის თასის პირველი მფლობელი გახდა სამი ქართველი ფეხბურთელი: გივი ჩოხელი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი. ეს ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იყო.

მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ გივი ჩოხელი ზედიზედ რამდენიმე წლის განმავლობაში შედიოდა 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში მარცხენა მცველის პოზიციაზე. ეს იმას, ნიშნავდა, რომ 1960-1963 წლებში ჩოხელი იყო საბჭოთა კავშირში ამ ამპლუაში საუკეთესო.

სამოციანი წლების დასაწყისში **ანდრო ჟორდანიას** ძალისხმევის შედეგად, თბლისის "დინამოში" მოვიდა ქართული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მცველი, ევროპული და მსოფლიო რანგის ფეხბურთელი, ლეგენდარული **მურთაზ ხურცილავა**. "დინამოს" დაცვამ უფრო სოლიდური სახე მიიღო, საიმედო გახდა. **ბორის სიჭინავა,** მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, **ჯემალ ზეინკლიშვილი** - დაცვის ეს ხაზი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

თბილისში დონეცკის "შახტიორის" წინააღმდეგ მატჩი 1963 წლის 23 აგვისტოს, გივი ჩოხელის სპორტულ კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატულად შეიძლება მივიჩნიოთ. საქმე ისაა, რომ იგი ერთდროულად ამ მატჩის ანტიგმირად და გმირად მოგვევლინა. დონეცკელები დინამოელებისთვის უხერხული მეტოქეები იყვნენ. ისინი თამაშს კონტრშეტევაზე აგებდნენ და ღრმა ეშელონირებულ დაცვას მიმართავდნენ. ასე მოხდა ამჯერადაც. სტუმართა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევის დროს თბილისელთა დაცვის ლიდერსა, გივი ჩოხელს ბურთი თავზე გადაახტა. ამ გარემოებით ისარგებლა სტუმართა შეტევის ლიდერმა **ანანჩენკომ** და ანგარიში გახსნა. მეორე ნახევარში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. "დინამოელებმა" საკუთარ კარს მიაჯაჭვეს მოწინააღმდეგე. დონეცკელები არც უხეშობას ერიდებოდნენ. თბილისელთა კაპიტანს შოთა იამანიძეს პენალტი გაუფუჭდა. დრო გადიოდა. "დინამოს" იმედი, ეხსნა ქულა, მცირდებოდა. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე **ვლადიმერ ბარქაიამ** იმ დღეს ჩინებულად მოთამაშე **ლეონიდ კლიუევის** კარი ულამაზესი გოლით დალაშქრა - წონასწორობა აღსდგა. ქულა გადარჩენილია. დაიწყო მატჩის ბოლო წუთი. მასპინძლები ბოლო შეტევაზე გადავიდნენ. თავდასხმაში ჩაერთო გივი ჩოხელი და მატჩის ბოლო წამებზე უძლიერესი დარტყმით ბურთი სტუმართა კარის ბადეში გააგზავნა. ასე იქცა ის ამ დრამატული მატჩის გმირად.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ავადმყოფობის გამო ის ნაადრევად ჩამოშორდა მწვანე მინდორს. ამიტომ გამოტოვა 1964 წლის სეზონი და ვერ შეძლო მკერდი ოქროს მედლით დაემშვენებინა, რასაც ის სავსებით იმსახურებდა. ქართული ფეხბურთის ისტორიაში დაცვის ერთ-ერთმა უძლიერესმა, ხურცილავა-ჩოხელის ტანდემმა, ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო, სამწუხაროდ, ნაადრევად შეწყვიტა არსებობა.

მწვანე მინდორის დატოვების შემდეგ ის არ წასულა მშობლიური გუნდიდან. 1969-70 და 1974 წლებში იყო უფროსი მწვრთნელი, ხოლო 1984-85 წლებში გუნდის უფროსი.

მისი თავკაცობით 1969 წელს "დინამო" გახდა საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ხოლო 1970 წელს გავიდა საბჭოთა კავშირის თასის ფინალში, სადაც დამარცხდა მოსკოვის "დინამოსთან" - 1:2. 1971 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

გივი ჩოხელი 1994 წელს გარდაიცვალა. მაშინ ის 57 წლის იყო.

დიდი ფეხბურთელისა და პიროვნების ლვაწლის უკვდავსაყოფად თელავის ცენტრალურ სტადიონს გივი ჩოხელის სახელი მიენიჭა.

**მერაბ კალანდაძე**



გივი ჩოხელი

# გინდათ ბოკას ფეხბურთელი?

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი **ნიკო პატარქალიშვილი** ქართულ კლუბებს არგენტინელ ფეხბურთელს სთავაზობს.

საუბარია "ბოკა ხუნიორსში" ნათამაშებ **ვიქტორ ედუარდო მანაგოზე**. ის მარცხენა მცველია. პატარქალიშვილის მტკიცებით, მანაგოს საყრდენ ნახევარმცველად და გამთამაშებლადაც შეუძლია თამაში. 1983 წელსაა დაბადებული, 180 სმ. სიმაღლისაა და 80 კგ-ს იწონის. ამასთან, არგენტინული კლუბის ახალგაზრდულ გუნდში თამაშისას მოგებული აქვს ბელინცონას და ვიარეჯოს ახალგაზრდული ტურნირები.

*"ვიქტორ ედუარდო მანაგოსთან უკვე მქონდა სატელეფონო საუბარი. ის თავისუფალი აგენტია და თანახმაა, ქართულ კლუბში ითამაშოს"* - აღნიშნა პატარქალიშვილმა.

**დავით ცაბაძე**



ვიქტორ ედუარდო მანაგო

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## კალათბურთი

ახალგაზრდული ნაკრები

## კიევისკენ ჰერი, ჰერი...

### უსტიაშვილმა ოპტიმალური შეარჩია


დავით უსტიაშვილი

გუშინ, აკადემიის დარბაზში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშის შემდეგ მწვრთნელებმა სრული ეკიპირება გამოიტანეს და კალათბურთელებს დაურიგეს. ეს კი გუნდის საბრძოლოდ აღჭურვას ნიშნავდა. დღეს 20-წლამდელები უკრაინაში სამი საკონტროლო მატჩის გასამართად სამი დღით მიემგზავრებიან. დაპირებისამებრ, მწვრთნელებმა - **დავით უსტიაშვილმა** და **გელა წულაძემ**, შემადგენლობას საბოლოო სახე მისცეს: მოთამაშეთა რაოდენობა 15-დან 12-მდე შეამცირეს. უკრაინაში (შესაბამისად, ევროპის ჩემპიონატზე) ვერ წავლენ **ირაკლი გულისაბედაშვილი, ლუკა ნოზაძე** და **გიორგი პირველაშვილი**.

| საუკრაინო შემადგენლობა |
|---|
| რეზო დიდია (კაპიტანი, აზოტი, 204 სმ) |
| ლექსო ლაფანაშვილი (დინამო, 196) |
| ლევან ცეკვავა (აზოტი, 189) |
| მიხეილ ბერიშვილი (თსუ, 203) |
| რიჩარდ მათიაშვილი (თსუ, 207) |
| ირაკლი ჯგერენაია (მაკაბი, 205) |
| ბექა ნივნივაძე (აკადემია ლიტვა, 188) |
| გიორგი გაფრინდაშვილი (ასკ ლატვია, 186) |
| ლაშა ფარღალავა (პენსკოლა აშშ, 190) |
| დიმიტრი ფაცაცია (უგუნდოდ, 196) |
| მიხეილ ჭოჭუა (აზოტი, 192) |
| გიორგი შერმადინი (მაკაბი, 216) |

**ვარჯიშის დასრულებისთანავე დავით უსტიაშვილს ვესაუბრეთ:**

- ვფიქრობ, შემადგენლობა ოპტიმალურია. ძალიან გამიჭირდა თორმეტი მოთამაშის შერჩევა, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. გულისაბედაშვილი და პირველაშვილი პერსპექტიული ბიჭები არიან და მათ გაისადაც მოუწევთ ახალგაზრდულში თამაში. ნოზაძეც ნიჭიერია, მაგრამ მას მაჯა სტკივა და სრულფასოვნად ვარჯიშს ვერ ახერხებს.

**- გულისაბედაშვილი, ალბათ, მისი ამპლუის გამო არ წაიყვანეთ...**

- ის მსროლელია და 1988 წელსაა დაბადებული. ყველაზე დიდი კონკურენცია სწორედ ამ პოზიციაზე იყო. მეორე ნომრად თამაშობენ ლაშა ფარღალავა, მიხეილ ჭოჭუა და ლექსო ლაფანაშვილი. თანაც, სამივე მათგანი 1987 წელსაა დაბადებული. ასე რომ, რთული არჩევანის წინაშე ვიყავი, ოთხიდან სამი მსროლელი უნდა ამერჩია...

**- უკრაინაში კარგად მომზადებულები მიდიხართ?**

- აქამდე, მძიმე დატვირთვები გვქონდა. დასვენების დღეს ირანის ნაკრებს ვეთამაშეთ, თუმცა მას შემდეგ ვარჯიშები შემსუბუქდა და უკრაინაში უმთავრესად ტაქტიკას დავუთმობთ ყურადღებას. ვფიქრობ, 6 ივლისისთვის ოპტიმალურ ფორმას მივაღწევთ. სწორედ ამ დროს იწყება ევროპის ჩემპიონატი და ჩვენთვის გადამწყვეტი საწყისი 3 მატჩი იქნება. თუ A ლიგაში დარჩენა გვინდა, ჯგუფის საუკეთესო სამ გუნდს შორის უნდა მოვხვდეთ.

**- შარშან სხვა ფორმაციის ახალგაზრდულ ნაკრებს ხელმძღვანელობდით. იმ გუნდსა და დღევანდელს შორის რა პარალელს გაავლებდით?**

- იმ გუნდის ძირითად ბირთვს სანიკიძე, მარკოიშვილი, ცინცაძე, გამყრელიძე, საყვარელიძე და ლეჟავა წარმოადგენდნენ. ეს ბიჭები 16 წლიდან ერთად თამაშობდნენ - დსთ-ს ოლიმპიადიდან დაწყებული, ევროპის ჩემპიონატით დამთავრებული. მათგან ყველა ეროვნულის კანდიდატია... დღევანდელი ახალგაზრდულის წევრები კი წლეულს პირველად შეიკრიბნენ... შედარება თქვენთვის მომინდვია.

**- ამ 20-წლამდელთა მთავარ პლუსად რა მიგაჩნიათ?**

- გეხსომებათ, რომ 1986 წელს დაბადებულთა გუნდში მთავარი პრობლემა ცენტრის არყოფნა იყო. ფარზე ფორვარდ ვიქტორ სანიკიძეს ვათამაშებდით. წლეულს ამაზე საფიქრალი აღარ გვაქვს, რადგან ევროპის ჩემპიონატზე ორი კარგი ცენტრი - გიორგი შერმადინი და რიჩარდ მათიაშვილი მიგვყავს. ოპერაციის შემდეგ გიორგის ძალები 100 პროცენტით არ აღუდგენია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ივლისის დასაწყისისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

**- უკრაინაში გასამართი მატჩების განრიგი ხელთ გაქვთ?**

- კიევში ხვალ (ესე იგი, დღეს - ავტ) გავფრინდებით და "ბკ კიევის" ბაზაზე დავბინავდებით. 28 და 29 ივნისს ამავე გუნდის დარბაზში უკრაინელ თანატოლებს 17 საათზე გავეჯიბრებით, ხოლო 30-ში 14 საათზე ვითამაშებთ. თუმცა კიევში ჩასვლის შემდეგ ზოგიერთი რამ შეიძლება შეიცვალოს. თბილისში პირველ ივლისს დავბრუნდებით, ხოლო 4-ში სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატზე გავფრინდებით.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქველმოქმედება

## ნაკრების ხუთეული პატარებთან

გუშინ, დაახლოებით 12 საათისთვის კალათბურთის ფედერაციასთან თავი მოიყარა საქართველოს ნაკრების ხუთეულმა - **გიორგი ცინცაძემ, მანუჩარ** და **გიორგი მარკოიშვილებმა, ვიქტორ სანიკიძემ** და **ვახტანგ ნაცვლიშვილმა**. ისინი ერთად საქველმოქმედო საქმისთვის, სამედიცინო უნივერსიტეტისა და კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის შეიკრიბნენ. ნახევარ საათში ქველმოქმედთა ჯგუფი წყნეთის ბავშვთა სახლს ესტუმრა და სამახსოვრო საჩუქრებთან ერთად, პატარებს გამაგრილებელი სასმელები და ნაყინები დაურიგა.

ერთ-ერთი კალათბურთელის კითხვაზე - კალათბურთი სად ვითამაშოთო, - ბავშვმა მორიდებით მიუგო: ფარები კი გვაქვს, მაგრამ სარდაფშია ჩატანილიო. ასე რომ, კალათბურთელთა ხუთეულს საფეხბურთო მოედანზე მოუხდა გასვლა. სანიკიძემ და ცინცაძემ 20-მდე ბავშვთან ჯერ კალათბურთი ითამაშეს (ოღონდ ტყორცნების გარეშე...), შემდეგ ფეხბურთიც მაიყოლე'ს. მარკოიშვილებმა დანარჩენი პატარები შემოიკრიბეს და მსუბუქი საკალათბურთო გაკვეთილები ჩაუტარეს. სპორტსმენები პატარებს იმ იმედით დაემშვიდობნენ, რომ სხვა დროს, წყნეთში ამოსულებს საკალათბურთო ფარები თავის ადგილზე დახვდებათ.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

## ჭიდაობა



ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდები

## ერთი ბრინჯაო ბელგრადიდან

გუშინ, ბელგრადში, ახალგაზრდა (21-წლამდელები) მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. პირველები, ასპარეზობაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებნენ. იჭიდავეს ოთხი წონითი კატეგორიის წარმომადგენლებმა და არის პირველი მედალიც: 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი **გოჩა ლომთათიძემ** მოიპოვა.

50 კგ-ში **ლევან მეტრეველმა** ფრანგ **ლოკმან კაპლანბაბასთან** დათმო. ფრანგმა შემდეგი მატჩიც მოიგო, თუმცა ნახევარფინალში წააგო ბულგარელ ფალავანთან და ლევანი რეპეშაჟის გარეშე დატოვა. 60-ში **გიორგი მაყიშვილმა** ბერძენი **გიორგი კაფუროსი** დაამარცხა, შემდეგ კი თავად დამარცხდა პოლონელ **ადამ ბლოკთან**. თავის მხრივ, ბლოკმაც წააგო და კიდევ ერთმა ქართველმა ნაადრევად შეწყვიტა ასპარეზობა. 74 კილოგრამში გოჩა ლომთათიძემ პირველ წრეში რუს **რაშიდ კურბანოვთან** წააგო. ლომთათიძემ რეპეშაჟში გააგრძელა ბრძოლა, იქ მან მოლდოველ **იონ ვრემერესს** აჯობა და ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. მედლისთვის მატჩში გოჩა უკრაინელ **მაქსიმ მალიუგინს** დაეჭიდა. გამარჯვებული ლომთათიძე გამოვიდა და საქართველოს ნაკრების ყულაბაში პირველი მედალიც ჩააჩხრიალა.

96 კილოგრამ წონით კატეგორიაში **გიორგი ჩიქოვანმა** თურქ **რეჯებ დემირთან** წააგო და ტურნირს დაემშვიდობა.

დღეს იჭიდავებენ: **მურთაზ კვესაძე** (55 კგ), **ნიკოლოზ რეხვიაშვილი** (66 კგ), **ბექა ჭელიძე** (84 კგ) და **გიორგი ნიკურაძე** (120 კგ). დღესვე, ბელგრადში ახალგაზრდა "ანტიკოსთა" ნაკრებიც გაფრინდა, რომელიც ივნის-ივლისის მიჯნაზე ევროპირველობაში ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ზურაბ მაჭარაშვილი** (50 კგ), **ლაშა გოგიტაძე** (55 კგ), **ლაშა ლოლაშვილი** (60 კგ), **გურამ კვერღელიძე** (66 კგ), **გიორგი ჭუმბაშვილი** (74 კგ), **სერგო ნინუა** (84 კგ), **იოსებ ჯაბიძე** (96 კგ) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (მძიმე).

**ირაკლი თავაძე**
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჩოგბურთი

### ჩახნაშვილის უცნაური ტურნირი

მსოფლიოს 147-ე ჩოგნის მცირე საერთაშორისო ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში "უაილდ ქარდით" მოხვედრა საკმაოდ უცნაურია, არადა, **მაკა ჩახნაშვილს** სწორედ ასე დაემართა. ქართველი უიმბლდონის საკვალიფიკაციო ტურნირში ცდიდა ბედს (სამწუხაროდ, წარუმატებლად), ნისლიანი ალბიონიდან კი იტალიაში ჩავიდა. ჩახნაშვილმა პადოვის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარი) თამაშის სურვილი გამოთქვა და ორგანიზატორებმა, სასწრაფო წესით, საკვალიფიკაციო ბადის "უაილდ ქარდი" გაუხერხეს. რა თქმა უნდა, მაკა პირველ ნომრად განთესეს. პირველ წრეში ჩახნაშვილი ისვენებდა, მეორეში კი იოლად იმარჯვა და ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში გავიდა.

ფინალურ წრეში მაკას მეტოქე ახალგაზრდა იტალიელი **ალესანდრა დი ბატე** იყო. ჩახნაშვილს მოგება არ გასჭირვებია - 6:2, 6:2. საქართველოს პირველი ჩოგანი პადოვის ტურნირის ძირითად ბადეში გავიდა. იქ ჩახნაშვილი მესამე ნომრად განთესეს. პირველ წრეში ქართველს ჩეხი **მიხაელა პასტიკოვა** შეხვდება, რომელიც ამჟამად მსოფლიოს 268-ე ჩოგანია, ორი წლის წინათ კი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ასეულშიც იყო. მაკა წყვილთა თანრიგშიც ასპარეზობს, სადაც რუმინელ **აგნეშ სატმარისთან** დუეტში პირველ ნომრადაა განთესილი. ქართველი და რუმინელი მეოთხედფინალიდან ითამაშებენ.

### ბადეში მხოლოდ შაფათავაა

სტამბოლის მახლობლად, ქემერში, 25-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდის ქალთა ტურნირი მიმდინარეობს, რომელშიც საკვალიფიკაციო ბადიდან ძირითადში გააღწია **სოფიო შაფათავამ**. ახლა ის ძირითადი ბადის პირველ წრეში ყირგიზ **ქსენია პალკინას** (554) შეხვდება. ტურნირში **სოფიო ქვაცაბაიაც** მონაწილეობდა. მან ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ინდოელ **სანაა ბამბრისთან** წააგო. ქვაცაბაია და შაფათავა ბედს წყვილთა თანრიგშიც ცდიან. აქ ისინი გერმანულ დუეტს (**პერკოვიჩი, სივეკე**) შეხვდებიან.

### დევიძე ფავორიტია

ამერიკის ქალაქ ედმონდში ქალ ჩოგბურთელთა მცირე საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) მიმდინარეობს. 21 წლის **სალომე დევიძე** ტურნირში მე-7 ნომრად განთესეს. ბოლო მომენტში თამაშზე უარი თქვა კიდევ ერთმა ქართველმა **სოფიო მელიქიშვილმა**. პირველ წრეში დევიძე ტურნირზე "უაილდ ქარდით" მიწვეულ 22 წლის ამერიკელ **ნატალი ფრეიზერს** შეხვდება. სალომე წყვილთა თანრიგშიც ითამაშებს, სადაც ვენესუელელ **მარიანა მუცი-ტორესთან** ერთად პირველ ნომრადაა განთესილი.

### რეპეტიცია უიმბლდონისთვის

გუშინ 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა, რომელშიც 16 წლის ჩვენებურმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** ერთი საფეხურით წინ წაიწია და მსოფლიოს 21-ე ჩოგანი გახდა. ოქსანას 602 ქულა აქვს. 21-ე ადგილი მისთვის კარიერის მიღწევაა. **ლაზარე კუხალაშვილი** ბიჭებში 88-ე ჩოგანია. ოქსანა ინგლისშია, სადაც პირველი კატეგორიის ტურნირში მონაწილეობს ქალაქ რუჰემპტონში. ეს ტურნირი ბალახის კორტებზე იმართება და ახალგაზრდული უიმბლდონის გენერალური რეპეტიციაა. პირველ წრეში მე-13 ნომრად განთესილი კალაშნიკოვა ხორვატ **იასმინ ტინჯიჩს** ხვდება. ოქსანა და რუმინელი **ირინა ბეგუ** წყვილთა თანრიგში მესამე ნომრად განთესეს.

### ჟვანიას წარუმატებლობა

ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ასპარეზზე ამ კვირაში მხოლოდ ერთმა ჩვენებურმა იასპარეზა: ამერიკის ქალაქ როჩესტერში 10-ათასიან ტურნირში მონაწილეობა მიიღო **ზურაბ ჟვანიამ**. ჟვანია 23 წლისაა. წლეულს მან მეორე ამერიკულ ტურნირში სცადა ბედი. როჩესტერის ტურნირის პირველ საკვალიფიკაციო წრეში ქართველი მექსიკელ **ჰანს ვერდუგოს** შეხვდა და 3:6, 2:6 დამარცხდა. ჟვანიას საჩოგბურთო კარიერა, ჯერჯერობით, ძალზე მოკრძალებულია. მან მხოლოდ 6 ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ერთადერთხელ გაიმარჯვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ტყვიის სროლა

ევროპის ჩემპიონატის წინ

## სალუქვაძე ჯერ გერმანიაში ისვრის

ოლიმპიური ფონდის დაფინანსებით, ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** მამასთან და ამავე დროს, მწვრთნელ **ვახტანგ სალუქვაძესთან** ერთად, გერმანულ ქალაქ ბასუმში იმყოფება, სადაც ღია სასროლეთზე ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებას გადის. მოგეხსენებათ, ღია სასროლეთი საქართველოში გადაუჭრელი პრობლემაა და რაკი უცხოეთში შეჯიბრებები ძირითადად ასეთ ტირებზე იმართება, ჩვენებიც მუდამ საზღვარგარეთ დადიან სავარჯიშოდ. მართალია, მათ აქ დახურულ ტირში ვარჯიში შეუძლიათ, მაგრამ იგი თვისობრივად განსხვავდება ღია მოედნების სპეციფიკისგან და აქ ვარჯიში იქ დიდად ვერაფერში არგიათ. ამიტომ, გამოსავალი ისევ უცხოეთში მომზადებაა, მაგრამ ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

ბასუმში ჩვენები სისტემატურად დადიან შეკრებაზე, რადგან იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები მუდამ სიამოვნებით მასპინძლობენ მათ და ისედაც ჩინებულ ბაზაზე, მოსამზადებლად იდეალურ პირობებს უქმნიან. თუმცა ფინანსები ნაკრებისთვის მაინც სერიოზული პრობლემაა და ამ მიზეზით წლეულს მსოფლიო თასის უმეტესი ეტაპები გამოტოვეს - ოთხიდან მხოლოდ ერთში გამოვიდნენ და იქაც ორი სპორტსმენით. მაგრამ ამ შეკრების დაფინანსება, ანუ ევროპისთვის მომზადება, იმთავითვე ოლიმპიურმა ფონდმა ივალდებულა და პირობა ნამუსიანადაც შეასრულა.

მაგრამ ამჯერად, სალუქვაძეები მარტო წავიდნენ გერმანიაში, რაკილა ევროპის პირველობაზე, ესპანურ ქალაქ გრანადაში, საქართველოდან მხოლოდ ნინო სალუქვაძე იასპარეზებს. საქმე ისაა, რომ კონტინენტის პირველობა ამჯერად სპორტული პისტოლეტით სროლაში ტარდება, ამ სახეობაში სათანადო ბაზებისა და პირობების არარსებობის გამო კი, სხვები ვერც ემზადებიან და, მით უმეტეს, არც შეჯიბრებებში მონაწილეობენ.

თუმცა ნინო გრანადაში მარტო მაინც არ იქნება: ტყვიის მსროლელთა ევროპირველობას მესტენდურებისა მოსდევს, რომელშიც საქართველოდან ოთხნი იასპარეზებენ: **დავით ქვათაძე, გივი შენგელია, პავლე ლაკია** და **მაია გუბიევა**. სალუქვაძე 8 ივლისს ისვრის, მესტენდურთა პირველობა კი 13 ივლისიდან იწყება. გერმანული შეკრების დარად, სალუქვაძის ევროპაზე გამოსვლასაც ოლიმპიური ფონდი აფინანსებს, მესტენდურთა ნაკრებს კი სპორტის დეპარტამენტი მიხედავს.

**ირაკლი თავაძე**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

### ისევ მეჩვიდმეტეზე

IRB-ის ახალი რეიტინგის მოწინავე ოცეულში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა: ახალ ზელანდიასთან შინ დამარცხებულმა სამხრეთმა აფრიკამ საფრანგეთს ადგილი გაუცვალა და მესამე საფეხურზე ჩაინაცვლა. მსოფლიოს საუკეთესო სარაგბო ნაკრები კვლავ ახალ ზელანდიას ჰყავს (95 ქულა), მეორე ადგილზე 85.6 ქულით საფრანგეთია. მსოფლიო თასის მომავალი მასპინძლები ოდნავ უსწრებენ "ქურციკებს" - 85.4 ქულა. უცვლელია საქართველოს ნაკრების პოზიცია: ერთი კვირის წინათ, "ბორჯღალოსნებმა" ერთი საფეხური დაკარგეს მას შემდეგ, რაც ტონგამ სენსაციურად დაამარცხა ფიჯი. საქართველოს ნაკრებს 66.38 ქულა აქვს და მე-17 ადგილზეა. ჩვენები ნახევარ ქულაზე ნაკლებით ჩამორჩებიან ტრადიციულ მეტოქე რუმინეთის ნაკრებს.

### ევროშვიდკაცის მონაწილეთა ვინაობა ცნობილია

გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგში ევროპული შვიდკაცის სერიის ბოლო ტურნირი დასრულდა. გაირკვა იმ ნაკრებთა ვინაობა, რომლებიც 7 ივლისიდან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ. ფინალური ეტაპი რუსეთში გაიმართება, იქ მონაწილეობის უფლება კი საფრანგეთის, იტალიის, საქართველოს, გერმანიის, ესპანეთის, უკრაინის, რუმინეთის, პოლონეთის, მოლდოვის, ლიტვისა და ანდორის ნაკრებებმა მოიპოვეს. ბუნებრივია, მეთორმეტე მონაწილე მასპინძელი რუსეთია. ყველაზე დიდი სიურპრიზი ისაა, რომ ევროპის სამგზის ჩემპიონი პორტუგალია ფინალურ ეტაპზე ვერ ითამაშებს. ასე რომ, "ბორჯღალოსნებს" ერთი კონკურენტი თავისთავად ჩამოშორდათ. ჰაიდელბერგში პორტუგალიელებმა მხოლოდ მეშვიდე ადგილი მოიპოვეს, სერიაში 16 ქულა მოაგროვეს და მე-14 ადგილზე გავიდნენ. ევროპის შვიდკაცა 7-8 ივლისს მოსკოვში, "ლუჟნიკზე" გაიმართება.

### მალაღურაძის კრედო: ჩემპიონობა საკუთარი ძალით

**ქართველთა გუნდი უკრაინაში პირველია**

დასრულდა უკრაინის სარაგბო ჩემპიონატი, რომელშიც ოდესის "კრედო 63-მა" გაიმარჯვა. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ოდესურ კლუბს ქართველი **გია ჭუმბურიძე** წვრთნის და იქ 5 ჩვენებურიც თამაშობს. გადამწყვეტ მატჩში, ხარკოვში, "კრედომ" ბოლო ორი წლის ჩემპიონ "ოლიმპს" მოუგო - 15:13. როგორც, უკრაინული პრესა წერს, ოდესელებს ჩემპიონობა, ფაქტობრივად, მარტომ მოაპოვებინა **ლაშა მალაღურაძემ**, რომელმაც გუნდის ყველა ქულა საკუთარ აქტივში ჩაიწერა.

უკვე 25-ე წუთისთვის სტუმრები 12:0-ს იგებდნენ. ლაშამ ზედიზედ ოთხი საჯარიმო გაიტანა. შემდეგ ხარკოველებმა იძალეს და 13:12 დაწინაურდნენ. მასპინძლები უკვე მესამე ჩემპიონობას ზეიმობდნენ, როცა მსაჯმა მათს კარში კიდევ ერთი ჯარიმა დანიშნა. ბურთთან კვლავ ლაშა მივიდა და მიზანსაც უწია. "კრედოსთვის" ეს პირველი ტიტულია. კლუბში თამაშობს ლაშას ძმა **ჯაბაც**, აგრეთვე **გიორგი თოდრაძე** და **გიორგი გეგიძე**. ოდესელებმა 9 მატჩიდან 8 მოიგეს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ. საბოლოოდ, ქართველთა გუნდმა 25 ქულა მოაგროვა, ხარკოველთა აქტივშია 22 ქულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

**ლელო-ლოკომოტივი 36:26**

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე, თოდუა, მანჯავიძე (ქიზიყურაშვილი 64), ცერცვაძე, ხმალაძე, ზაალიშვილი; (1-8) ჯამრულიძე, ცხოვრებაშვილი, სანიკიძე, ჩიტიძე, ვ. მაისურაძე (ი. დაუშვილი 27), მძინარიშვილი, მჭედლიშვილი, ბელქანია.

*5 ლ (ცერცვაძე, მაისურაძე, ჯამრულიძე (2), ჩიტიძე; 4 გ (ყიასაშვილი) 1ჯ (ყიასაშვილი)*

ლოკომოტივი: (15-9) ასათიანი, ნადირაძე (ბერძენიშვილი 70), უდესიანი, ხაჩირაშვილი, ქავთარაძე, კვინიხიძე, ლვინჯილია; (1-8) პეტრიაშვილი, ტურაშვილი, მალალთაძე (ხეჩიკოვი 67), კახიანი (ნიშნიანიძე 38), მთიულიშვილი, ყურაშვილი (ბერიშვილი 63), მგელაძე, ზ. მაისურაძე.

*4 ლ (ქავთარაძე, მაისურაძე, ტურაშვილი, ასათიანი); 3 გ (კვინიხიძე (2), ხაჩირაშვილი)*

მსაჯი: მ. ჩაჩუა

საქართველოს ჩემპიონატი

# ლელომ ჩემპიონი განზე გაწია

გუშინ მესამე ტურის გამოტოვებული მატჩით საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი, დედაქალაქური "ლოკომოტივი" თანაქალაქელ "ლელოს" ხვდებოდა. უდავოდ, ეს იყო პირველი წრის ცენტრალური მატჩი. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, გამარჯვებული პირველ პოზიციაზე შეეგებებოდა საშემოდგომო ეტაპს.

მართალია, ნომინალურ მასპინძლად "ლელო" ითვლებოდა, მაგრამ შეხვედრა ჩემპიონთა მშობლიურ არენაზე ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის შემდეგ, რკინიგზელებს ამ არენაზე არ წაეგოთ. "ლოკომოტივის" სამწლიანი საშინაო წაუგებელი სერია გუშინ შეწყდა. ასევე შეწყდა ამავე გუნდის ზედიზედ 4-მატჩიანი მოგებათა სერია მიმდინარე ჩემპიონატში...

მატჩი თავიდან ბოლომდე ფრიად თვალსასეირო გამოდგა. სტადიონზე მოსულმა ასამდე გულშემატკივარმა იხილა დრამატული, ლამაზი მატჩი, რომელიც დახუნძლული იყო ემოციებითა და ლამაზი ლელოებით.

ანგარიში მე-10 წუთზე გაიხსნა. **კვინიხიძემ** ხუთმეტრიან ხაზთან დერეფანი მოუპოვა თანაგუნდელებს, მაგრამ "ლელომ" აუტი ჩაჭრა და სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო. **ბელქანიამ** მარჯვენა ფლანგზე ორმოცდაათიოდე მეტრი ირბინა, მერე კი შებოჭეს და ლელოელებმა მარცხნივ სცადეს მარაოს გაშლა. თუმცა აქ უკვე **ქავთარაძემ** ჩაჭრა მათი გადაცემა, საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან უპრობლემოდ გადასერა მთელი მოედანი და მშვიდად დადო ლელო ზედ კარის ქვეშ. კვინიხიძეს ხელსაყრელი პოზიციიდან გარდასახვის გატანა არ გასჭირვებია, რითიც "ლოკომოტივი" 7:0 დაწინაურდა.

შვიდ წუთში "ლელოს" ჯერი დადგა. რკინიგზელები საკუთარ ნახევარზე ზედმეტად გაერთნენ ფინტაობით, ბურთი დაკარგეს და **ლევან მაისაშვილის** შეგირდებმა სწრაფად გაშალეს მარაო, რომელიც **ცერცვაძის** განავარდებით დასრულდა. სალელოვე პასი **ყიასაშვილმა** მიითვალა. მანვე, გარდასახვაც ზუსტად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა.

"ლელოს" სიხარულმა მხოლოდ სამ წუთს გასტანა. ხუთმეტრიანი ზონის სიახლოვეს ლოკომოტიველებმა საკუთარი დერეფანი მოიგეს, მოლი ააგორეს და მეტოქე საკუთარ ჩათვლის მოედანში შეათრიეს. **ზვიად მაისურაძის** ლელოს კვინიხიძემ გარდასახვა წაამატა - 14:7.

და მაინც, პირველი ტაიმი ფორმალურმა მასპინძლებმა მოიგეს. ტაიმის დასკვნითი 15-წუთიანი მონაკვეთი "ლელომ" საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა და ორჯერ მიაღწია საწადელს. ჯერ **ვახტანგ მაისურაძე** გაუსხლტა ოსტატურად რკინიგზელთა უკანახაზელებს, მერე კი **დავით ჩიტიძემ** ოციოდე მეტრი გაირბინა, გზად ბრწყინვალე ფინტებით ჩამოიცილა მეტოქეები და საკუთარი გუნდის რიგით მესამე ლელო გაიტანა. ყიასაშვილმა ორივე შემთხვევაში, უშეცდომოდ გარდასახა. ამრიგად, შესვენების შემდეგ "ლოკომოტივს" შვიდბურთიანი პასივი ჰქონდა აღმოსაფხვრელი - 14:21.

მეორე ტაიმის საწყის წუთებზე, რკინიგზელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მრავალფაზიანი შეტევა განახორციელეს და მოლით შეაღწიეს მეტოქის ჩათვლის მოედანში (**ტურაშვილი**), თუმცა კვინიხიძემ ვერ გარდასახა – 19:21.

ლელოს გატანით გამოწვეული სიხარული ჯერ კიდევ არ განელებოდათ **თემურ ბენდიაშვილის** შეგირდებს, რომ სამ წუთში, ორი ლელო გაეპარათ და, ფაქტობრივად, იქვე ყველაფერი დამთავრდა. 58-ე წუთზე, ლელოელებმა უზადო კომბინაცია გაითამაშეს: ჯერ მარჯვნივ ჩაათამაშეს ბურთი, მერე ისევ მარცხნივ და **ჩიტიშვილს** დაამიწებინეს. ორ წუთში კი, ხუთმეტრიან ხაზთან ახლოს, ეშმაკურად გაათამაშეს აუტი, მეტოქე დააბნიეს და **ჯამრულიძემ** უპრობლემოდ დადო ლელო. ყიასაშვილმა ორიდან ერთი გარდასახა და თანაგუნდელები 33:19 დააწინაურა.

მეტოქისაგან განსხვავებით, ჩემპიონი, რატომღაც, არ ცდილობდა კომბინაციურ, გაშლილ თამაშს და უფრო ხელდახელ ბურთაობით, ჯანით სურდა ფონს გასვლა. აქედან ბევრი არაფერი გამოდიოდა. თუმცა მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე, ბენდიაშვილის ბიჭების სტრატეგიამ **ასათიანის** ლელო, **ხაჩირაშვილის** გარდასახვა და გადარჩენის ბოლო შანსი მოიტანა. მაგრამ იქვე, ყიასაშვილის ზუსტმა საჯარიმომ ეს იმედიც დაასამარა. დარჩენილ წამებში "ლოკომოტივი" ათბურთიანი სხვაობის გამბათილებელს აღარ ჰგავდა. ასეც მოხდა.

მატჩის მიწურულს, როცა დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, მორაგბეებმა ნერვები ვერ მოთოკეს და ერთმანეთს წაეკიდნენ. ჩხუბში რამდენიმე გულშემატკივარიც ჩაერთო, მაგრამ საბედნიეროდ, ექსცესი ხუთიოდ წუთში მშვიდობიანად აღიკვეთა...

ამრიგად, "ლელომ" სატურნირო თუ მორალური თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე შემოდგომიდან განახლდება. იქამდე კი, ქართული რაგბის გულშემატკივრებს საქართველოს თასზე მოუწევთ გადართვა, რომელიც 29 ივლისს დაიწყება.

**კობა ხატისაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | სხვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 5 | 4 | 0 | 1 | +96 | 8 |
| ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | +77 | 8 |
| ყოჩები | 5 | 4 | 0 | 1 | +96 | 8 |
| დინამო | 5 | 1 | 0 | 4 | -55 | 2 |
| არმაზი | 5 | 1 | 0 | 4 | -67 | 2 |
| უნივერსიტეტი | 5 | 1 | 0 | 4 | -80 | 2 |

## პატრიოტული ბანაკები



დავით კასრაძე

# მოამზადეთ ზურგჩანთები...

**ახალგაზრდული საზაფხულო პატრიოტული ბანაკების პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდება. ყოველ ახალ სეზონს მოუთმენლად მოელიან, როგორც სტუდენტები, ისე მოსწავლეები. გამოცდილება გროვდება, მატერიალური ბაზა უფრო მტკიცდება, ლიდერთა და ინსტრუქტორთა მომზადების სისტემაც გამართულად მუშაობს. წლევანდელ სიახლეებზე და პრიორიტეტებზე გვესაუბრება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი დავით კასრაძე.**

**-ბატონო დავით, როგორც ცნობილია, პატრიოტული ბანაკების რიცხვს წლეულს შეემატება ახალი ბანაკი, რომელიც კოდორში გაიხსნება. სულ რამდენი ობიექტი მიიღებს დამსვენებლებს?**

- სულ იმუშავებს 8 ბანაკი. დისლოკაცია ასეთია: საგარეჯო, ლაგოდეხი, ბაზალეთი, ვარციხე, განმუხური, სქური, გრიგოლეთი და კოდორი.

**- შარშან ბათუმი და ბაკურიანიც მოიხსენიებოდა ჩამონათვალში.**

- დიახ, ახლა ბათუმის ნაცვლად გრიგოლეთია, ბაკურიანს განმუხური ჩაენაცვლა.

**- მიზეზი?**

- დროებითი ბანაკები შეიცვალა სტაციონარით. ამასთან, დავიტოვეთ მხოლოდ ის ობიექტები, რაც ჩვენს ბალანსზე გადმოვიდა.

**- რაღა თქმა უნდა, ბანაკების ცხოვრებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი სპორტს უკავია. ცხადია, პირობებიც სათანადო იქნება.**

- ყველაფერი გაკეთდა ბანაკებში სპორტული საქმიანობის მაღალ დონეზე უზრუნველსაყოფად. ბაზები მზადყოფნაშია. მომზადდა ინსტრუქტორთა კადრები, ისევე როგორც ლიდერები და კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორები. ამ საქმეს თავს შესანიშნავად ართმევს ბავშვთა ფედერაცია. ბანაკების მთავარი ამოცანაა ახალგაზრდებში პატრიოტიზმის გაღრმავება, რაშიც სპორტს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება.

**- რა სპორტული ღონისძიებები იგეგმება ბანაკებში?**

- დილის გამამხნევებელი ვარჯიშები და ტურისტული ლაშქრობები თავისთავად. ჩატარდება შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. ბანაკებში გამარჯვებულ საფეხბურთო გუნდებს ერთად შევკრებთ განმუხურში ფინალურ ასპარეზობაზე, გამოვავლენთ გამარჯვებულს და პრიზიორებს.

**- როგორ შეირჩევა კონტიგენტი ბანაკებისთვის?**

- შეგახსენებთ, რომ ეს ბანაკები საპრეზიდენტო პროგრამის შემადგენელი ნაწილია და პრიორიტეტი ენიჭება სოციალურად დაუცველი ფენების ოჯახების შვილებს, შემდეგ წარმატებულ სტუდენტებსა და მოსწავლეებს. ამასთან კონტიგენტი მოიცავს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს. ახალგაზრდები ახლოს გაეცნობიან ერთმანეთს, დამეგობრდებიან, წარმოადგენენ თავიანთ ფოლკლორს.

**- ასაკი?**

- 15-22 წელი.

**- წლეულს რამდენი ახალგაზრდა დაისვენებს ბანაკებში?**

- 30 ათასი. ყოველი ნაკადი 10 სრულ დღეს მოიცავს. საერთო ჯამში ბანაკები 11 ნაკადში მიიღებენ ახალგაზრდებს...

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**

---

**გაზეთ "ლელოსა" და ჟურნალ "მართვეს" რედაქციები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ყოფილი თანამშრომელი**

**ლელა ნიქარიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს**

---

**"ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს თანამშრომელს ხათუნა სამხარაძეს, დეიდის**

**ლელა ნიქარიშვილის**

**დაღუპვის გამო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უიმბლდონი

# ტიმს ნაგება არ შეეძლო

უიმბლდონის მეორე დღემ წვიმისა და მოულოდნელობათა გარეშე ჩაიარა. თქმა არ უნდა, ჩოგბურთის ადგილობრივ მოყვარულს ყველაზე მეტად თავისი კერპის - დიდი სლემის არშემდგარი ჩემპიონის, ბრიტანელი **ტიმ ჰენმანის** ბედი აინტერესებდა, ვისაც ესპანელ **კარლოს მოიასთან** წინა დღეს დაუმთავრებელი შეხვედრა უნდა მიეყვანა ბოლომდე.

თამაში გვიან ღამით შეწყდა, როცა ანგარიში სეტებშიც (2:2) და გეიმებშიც (5:5) თანაბარი იყო. სანამ თამაში შეწყდებოდა, გადამწყვეტ სეტში, ბრიტანელმა ოთხი ბრეიკით ჩამორჩენა აღმოფხვრა, მერე კი თავად გაანიავა მატჩ პოინტი. გუშინ კი მეტად დაძაბულ პაექრობაში აჯობა (13:11) საფრანგეთის ღიას ყოფილ ჩემპიონს.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრა თითქმის ოთხი საათი გრძელდებოდა, აქედან თითქმის ნახევარი კი მარტო მეხუთე სეტზე მოდის. *"დასამალი არაა, რომ ტურნირისთვის მოუმზადებელი ვარ. მაგრამ უიმბლდონი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია. ასე რომ, მისი პირველივე წრეში დატოვება არ შემეძლო. ჰოდა, ყველაფერი ვიღონე მოსაგებად"*, - განაცხადა ჰენმანმა, ვისაც ამ სეზონში მხოლოდ ორი თამაში აქვს მოგებული, რის გამოც რეიტინგში 74-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა. ისე კი, უიმბლდონზე ოთხჯერ უთამაშია ნახევარფინალში.

ანგარიში რომ 11:11 იყო, ჰენმანმა ორი ბრეიკ პოინტი ეისებით მოიგერია. აქედან მეორე ეისი მეორე მოწოდებაზე შეასრულა. მომდევნო გეიმში ესპანელმა კიდევ ორი მატჩ პოინტი გაანეიტრალა, მაგრამ ნაგებას მაინც ვერ გადაურჩა.

ჰენმანის მომდევნო მეტოქეც ესპანელია - **ფელისიანო ლოპესი**, ვინც ტურნირი ბრიტანელ ახალბედა **ჯოშუა გუდელს** დაატოვებინა.

ტურნირი მოგებით დაიწყო მისმა შარშანდელმა ჩემპიონმა, ფრანგმა **ამელი მორესმომ**, ვისაც არ გასჭირვებია ამერიკელი **ჯამეა ჯექსონის** დამარცხება. სამაგიეროდ, დიდი ჯაფა დაადგა უიმბლდონის სამგზის ჩემპიონს ამერიკიდან, **ვენუს უილიამსს**, რომელმაც რუს **ალა კუდრიავცევასთან** შეხვედრის პირველი სეტი იოლად დათმო. მეორეში ვენუსმა შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა. გადამწყვეტი სეტის დასაწყისი კი რუსი დებიუტანტისა იყო, რომელიც თავიდან 3:1 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ვენუსმა ისევ გაილაღა და შეხვედრაც გამარჯვებით დაასრულა.

ცოტა გაუჭირდა ტურნირის ყოფილ ჩემპიონს, რუს **მარია შარაპოვასაც**, ვისაც მეტოქეობას ტაივანელი **იუნ-იან ჩანი** უწევდა. ჩანმა პირველი ქულა მას შემდეგ აიღო, რაც შარაპოვამ ზედიზედ მოიგო შეხვედრის პირველი ოთხი გეიმი. პირველ სეტში ტაივანელს მეტი გეიმი აღარც მოუგია.

მეორე სეტში კი რუსმა შეცდომებს უხშირა, რისი წყალობითაც, მეშვიდე გეიმში 17 წლის ჩანმა ბრეიკი აიღო. მოგვიანებით, რუსმა ყოველივე ყურადღების გაფანტვას დააბრალა - პირველი სეტი იმდენად ადვილად მოვიგე, მეგონა, მეორესაც ასევე იოლად მოვიგებდიო. ასე იყო თუ ისე, შარაპოვამ სენსაცია აიცილა და მეორე წრეში გავიდა. თამაშის შემდეგ კი განაცხადა, გრილი ამინდი ჩემს გაციებულ მხარს არ უხდება და ალბათ, მთელი ტურნირის განმავლობაში, ანთების საწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენება მომიწევსო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ჰენმანმა მოიას ბარიერი ძლივს გადალახა

## კაცები

### პირველი წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-მერდი ფიში (აშშ) 6:3, 7:6(4), 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:0, 6:3, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 6)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 7:6(12), 6:4, 7:6(5); **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 7:6(5), 6:4, 6:2; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:3, 6:4, 6:4; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 10)**-ერნსტ გულბისი (ლატ) 3:6, 6:4, 6:3, 6:2; **ტომი რობრედო (ესპ, 11)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:2, 3:6, 6:3, 6:7(5), 6:3; **რიშარ გასკე (საფ, 12)**-ბოჰდან ულირახი (ჩეხ) 6:3, 6:4, 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს, 14)**-კრისტიან პლესი (დან) 6:4, 6:2, 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი (ხორ, 15)**-ვინს სპადეა (აშშ) 6:4, 6:4, 4:6, 7:6(4); **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 16)**-რიჩარდ ბლუმფილდი (ბრიტ) 7:5, 6:3, 7:5; **იონას ბიორკმანი (შვედ, 19)**-ფერნადო ვისენტე (ესპ) 6:3, 6:1, 6:2; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 20)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 6:7(5), 4:6, 6:3, 6:2, 7:5; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 21)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 7:6(2), 6:4, 6:7(7), 6:3; **გილერმო კანიასი (არგ, 22)**-ივან ნავარო (ესპ) 7:6(3), 6:3, 6:1; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 23)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:3, 6:4, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 24)**-ბენიამინ ბეკერი (გერ) 3:6, 4:6, 6:4, 6:4, 10:8; **ტიმ ჰენმანი (ბრიტ)**-კარლოს მოია (ესპ, 25) 6:3, 1:6, 5:7, 6:2, 13:11; **მარატ საფინი (რუს, 26)**-რიკ დე ფიოსტი (სამხ.აფრ) 7:6(5), 6:4, 7:5; **რობინ სოდერლინგი (შვედ, 28)**-ოლივიე როხუსი (ბელგ) 6:3, 6:2, 6:2; **აგუსტინ კალერი (არგ, 29)**-ლუის ორნა (პერ) 6:2, 7:6(4), 7:5; **ნიკოლას კიფერი (გერ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა, 30) 6:3, 7:6(6), 6:1; **ანდრეას ზეპი (იტა)**-დომინიკ ჰრბატი (სლვკ, 31) 7:6(8), 6:1, 6:2; **კრისტოფ ფლიგენი (ბელგ)**-ხუან მონაკო (არგ, 32) 6:4, 6:3, 7:6(3); **იან ჰერნიხი (ჩეხ)**-მარკ გიშელი (საფ) 6:4, 6:4, 6:4; **მაქს მირნი (ბელა)**-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:3, 6:4, 2:1 ლუ გამოეთიშა; **ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ)**-ჟულიან ბენეტიუ (საფ) 7:6(4), 7:5, 6:4; **ჰიუნ-ტაიკ ლი (სამხ.კორ)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:4, 6:2, 6:3; **ვერნერ ეშაუერი (ავსტ)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:2, 3:6, 6:4, 6:3; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ჯოშუა გუდელი (ბრიტ) 6:1, 6:4, 6:4; **ედუარდ როჯე-ვასელენი (საფ)**-ჯეიმი ბეიკერი (ბრიტ) 7:6(2), 6:2, 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:4, 6:4, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)**-კევინ კიმი (აშშ) 2:6, 6:2, 4:6, 6:3, 6:4; **აისამ ულ-ჰაკ ყურეში (პაკ)**-ლი ჩაილდსი (ბრიტ) 6:3, 6:4, 7:6(6); **უეინ არტურსი (ავსტრალ)**-ტიემო დე ბეკერი (ჰოლ) 6:7(7), 6:7(7), 7:6(4), 6:4, 6:4; **ნიკოლა მაიუ (საფ)**-არნო კლემანი (საფ) 6:3, 3:6, 7:6(5), 6:4; **ხუან მარტინ დელ პორტო (არგ)**-დავიდე სანგინეტი (იტა) 3:6, 6:3, 6:4, 6:4; **ჟილ მიულერი (ლუქს)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:2, 6:7(6), 4:3 ერნანდესი გამოეთიშა; **ანდრეი პაველი (რუმ)**-ხუან-პაბლო გუჟმანი (არგ) 6:4, 6:4, 6:1; **სიმონე ბოლელი (იტა)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 4:6, 7:6(5), 6:4, 6:4; **მიშელ ლოდრა (საფ)**-სტანისლას ვავრინკა (შვეი) 6:4, 6:4, 6:1; **ფრენკ დანცევიჩი (კან)**-შტეფან კუბეკი (ავსტ) 6:2, 6:4, 6:2; **სებასტიან გროჟანი (საფ)**-ჯონათან მარი (ბრიტ) 6:2, 7:6(0), 7:5; **ამერ დელიჩი (აშშ)**-ლუკაშ დლუჰი (ჩეხ) 6:3, 6:4, 5:7, 6:4; **იარკო ნიემინენი (ფინ, 18)**-მაიკ რასელი (აშშ) 6:3, 6:2, 7:5; **ფაბრის სანტორო (საფ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 4:6, 7:6(4), 7:6(3); **ნიკოლა დევილდერი (საფ)**-მარიანო საბალეტა (არგ) 6:7(3), 6:4, 7:5, 6:4; **ფლორიან მაიერი (გერ)**-სემ ვარბურგი (აშშ) 6:4, 6:2, 6:2; **გაელ მონფილსი (საფ)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:4, 7:6(5), 6:2; **თიუენ-ცუ ვანი (ტაივ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:3, 6:4, 6:7(5), 6:7(8), 6:2; **კრის გუჩონე (ავსტრა)**-ალექსბოგდანოვიჩი (ბრიტ) 7:6(2), 6:4, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ)**-მარინ ჩილიჩი (ხორ) 3:6, 7:5, 6:4, 4:6, 6:3

## ქალები

### პირველი წრე

**მარია შარაპოვა (რუს, 2)**-იუნ-იან ჩანი (ტაივ) 6:1, 7:5; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 3)**-ანე კეოტავონგი (ბრიტ) 6:2, 6:0; **ამელი მორესმო (საფ, 4)**-ჯამეა ჯექსონი (აშშ) 6:1, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 5)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 4:6, 6:4, 6:3; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 8)**-ანგელიკ კერბერი (გერ) 7:5, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 10)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 6:0, 6:1; **ნადია პეტროვა (რუს, 11)**-ვანია კინგი (აშშ) 6:0, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი (სლო, 19)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 7:6(4), 3:6, 6:2; **ვენუს უილიამსი (აშშ, 23)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 2:6, 6:3, 7:5; **ალონა ბონდარენკო (უკრ, 24)**-ჯილ კრებასი (აშშ) 6:1, 6:2; **აი სუგიამა (იაპ, 26)**-მელანი საუთი (ბრიტ) 6:3, 6:2; **სამანტა სტოშური (ავსტრა, 27)**-კრისტინა ბრანდი (პ-რიკო) 4:6, 6:2, 6:2; **ელენა ვესნინა (რუს)**-ოლგა პუჩკოვა (რუს, 30) 6:1, 6:3; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ, 31)**-ციპორა ობზილერი (ისრ) 6:2, 6:7(6), 6:1; **ჰანა შრომოვა (ჩეხ)**-შუაი პენი (ჩინ) 6:4, 6:4; **კეიტი ო'ბრაიენი (ბრიტ)**-სანდრა კლიოზელი (გერ) 6:3, 7:5; **ივონ მოისბურგერი (ავსტ)**-ვირჟინი რასანო (საფ) 6:4, 7:5; **ემილი ლუა (საფ)**-ტიან ტიან სუნი (ჩინ) 6:3, 6:1; **მილაგროს სეკერა (ვენ)**-ჯულა შრუფი (გერ) 6:3, 6:2; **ელენი დანიილიდუ (საბ)**-ხისელა დულკო (არგ) 5:7, 6:3, 8:6; **ელენა ლიხოვცევა (რუს)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 3:6, 6:1, 7:5; **აგნეშ შავაი (უნგ)**-ევა ბირნეროვა (ჩეხ) 6:4, 6:1; **ტატიანა პუჩეკი (ბელ)**-ვიკტორია კუტუზოვა (უკრ) 6:4, 6:2; **ალის კორნე (საფ)**-მარია კირილენკო (რუს) 6:4, 6:4; **იარმილა გაიდოშოვა (სლვკ)**-მეგან შონესი (აშშ) 6:2, 6:4; **ნიკა ოზეგოვიჩი (ხორ)**-ანა-ლენა გრიონეფელდი (გერ) 6:3, 6:2; **ოლგა გოვორცოვა (ბელ)**-გრეტა არნი გერ) 6:7(5), 7:6(4), 6:1; **სანია მირზა (ინდ)**-იაროსლავა შვედოვა (რუს) 6:0, 6:3; **ბეთანი მტეკი (აშშ)**-ვასილისა ბარდინა (რუს) 6:1, 6:0


ჩოგბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!




29 ივნისიდან 1 ივლისამდე "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის" კორტებზე ტარდება ბიზნესმენთა ღია ტურნირი "ჯეოსელის თასი". ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად გეპატიჟებით ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელებს განურჩევლად ასაკისა და საქმიანობისა.

ტურნირზე ჩაწერა რეგისტრაცია გაიმართება პარასკევს 29 ივნისს 10:00 საათზე.

მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 29 ტელეფონი: 95 38 00; 95 27 81


## TV სპორტი

### 27 ივნისი. ოთხშაბათი

#### იმედი

02:05 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ეკვადორი-ჩილე (LIVE).
04:50 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-პერუ.
14:05 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-ბოლივია.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.
17:50 რუსეთის თასი. 1/16 ფინალი. ტერეკი-სპარტაკი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-პერუ.
21:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:10 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-ბოლივია.
23:55 პირდაპირი ხაზი.
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.

#### SPORT 1 (უკრაინა)

06:20 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩივასი-დინამო (ჰიუსტონი).
08:10 ფეხბურთი. Barca TV. ანდრეს ინიესტა.
09:00 სპორტინფორმი.
09:15 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ბორუსია (დ).
10:55 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1997-98 წლების სეზონი. იუვენტუსი-დინამო.
12:40 მინი-მოედანი.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოტინგემი. ინგლისი.
13:35 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
15:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი.
16:50 მინი-მოედანი.
17:15 ცურვა. Fina-ს გრან-პრი. სლოვენია.
18:47 სპორტკლუბი.
19:02 აფროსნობა. ამერიკის თასი.
19:30 სპორტინფორმი.
19:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
21:25 სპორტული ისტორია.
21:30 სპორტინფორმი.
21:45 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვერდერი.
23:30 სპორტინფორმი.
23:40 მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
00:05 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1962 წელი. ბარნლი-ტოტენჰემი.
01:55 სპორტინფორმი.
02:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოტინგემი. ინგლისი.
03:38 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
04:08 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1997-98 წლების სეზონი. იუვენტუსი-დინამო.
05:50 ცურვა. Fina-ს გრან-პრი. სლოვენია.

#### EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ჩოგბურთი.
11:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. რუსეთი-კუბა. რუსეთი.
12:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბულგარეთი-პოლონეთი. ბულგარეთი.
13:30 მულტისპორტი.
14:00 მძლეოსნობა. ევროპის თასი. მიუნხენი. გერმანია.
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ნორვეგია (LIVE).
17:00 მძლეოსნობა.
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ნორვეგია (LIVE).
19:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბულგარეთი-პოლონეთი. ბულგარეთი.
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ნორვეგია (LIVE).
21:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ოსტრავა. ჩეხეთი (LIVE).
00:00 აფროსნობა.
00:05 მულტისპორტი.
00:10 ცხენოსნობა. სუპერლიგა. როტერდამი. ჰოლანდია.
01:10 ცხენოსნობა.
01:15 მულტისპორტი.
01:20 გოლფი. ევროპის ტური. BMW-ის ღია. მიუნხენი. გერმანია.
01:50 გოლფ-კლუბი.
01:55 აფროსნობა.
02:00 ჩოგბურთი.
02:15 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ოსტრავა. ჩეხეთი.

#### EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი.
10:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი.
12:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-დალასი.
13:30 მულტისპორტი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. რუსეთი-კუბა. რუსეთი.
17:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბულგარეთი-პოლონეთი. ბულგარეთი.
18:00 რაგბი. IRB. წყნარი ოკეანის ერთა თასი. ფიჯი-ავსტრალია.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 რალი. ახალი სერია. ბელგია.
21:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ნორვეგია (LIVE).
22:00 სერფინგი.
22:15 ახალი ამბები.
22:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. რეალი-ბარსელონა.
23:30 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი.
03:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### კოპა ამერიკა

| | |
|---|---|
| ურუგვაი-პერუ | 0 3 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-მო | 4:1 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ელფსბორგი-ბრომაპოიკარნა | 3:0 |
| მალმიო-კალმარი | 1:2 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ლანდსკრონა-დეგერფორსი | 2:0 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| დროგედა-ბრეი | 4:1 |
| ლონგფორდი-კორკი | 1:2 |

#### ისლანდია

| | |
|---|---|
| ვიკინგური-აკრანესი | 0:3 |
| ბრეიდაბლიკი-ჰკ | 3:0 |

ჰოკეი

## ედმონტონი რედენს იწვევს

"ედმონტონ ოილერზის" გენერალური მენეჯერი **კევინ ლოუ,** მომავალი სეზონისთვის თავისი გუნდის დაცვის გაძლიერებას გეგმავს. ამ მიზნით, მას "ოტავა სენატორზის" მცველის **უეიდ რედენის** გადაბირება აქვს განზრახული. სხვათა შორის, ამ ჰოკეისტს "მენავთობეები" გასული სეზონის მიმდინარეობისას ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მაშინ კლუბები ვერ შეთანხმდნენ და ტრანსფერი ჩაიშალა. ახლა კი, გაცვლის ალბათობა უფრო დიდია, რადგან მომავალი სეზონიდან რედენი თავისუფალი აგენტი ხდება.

თავად მოთამაშეს კანადის დედაქალაქის დატოვება არ უნდა.

## იაშინი გერმანიაში მიდის?

სავსებით შესაძლებელია, რომ ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, **ალექსეი იაშინმა** კარიერა ევროპაში გააგრძელოს.

როგორც NHL-ის ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, თუ უახლოესი ერთი თვის განმავლობაში რუსი ფორვარდი ლიგის რომელიმე კლუბთან კონტრაქტს არ გააფორმებს, მაშინ დიდია ალბათობა იმისა, რომ იაშინი გერმანიაში, კერძოდ კი, "ჰამბურგში" გადავიდეს. ამ ჰოკეისტის გერმანიაში გადაბარგების შანსს ზრდის ის ფაქტიც, რომ იაშინის მეგობარმა ქალმა, **კეროლ ოლტმა** ჰამბურგში სახლი შეიძინა.

თუმცა, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში იაშინს ერთი პოტენციური მყიდველი უკვე გამოუჩნა. მისი გადაბირებით "მინესოტა უაილდია" დაინტერესებული, რომელიც რუს ჰოკეისტს ერთწლიან და ორმილიონიან კონტრაქტს სთავაზობს.

შეგახსენებთ, რომ რუსი ჰოკეისტი ცოტა ხნის წინათ თავისუფალი აგენტი გახდა, ვინაიდან მასთან კონტრაქტი გაწყვიტა "ნიუ იორკ აილენდერსმა".

## კალგარი იგინლას არ გაუშვებს

"კალგარი ფლეიმზი" თავისი წამყვანი ფორვარდის, **ჯერომ იგინლას** შენარჩუნებას აპირებს. როგორც კანადური პრესა იტყობინება, მხარეებმა უკვე შეათანხმეს ახალი ხელშეკრულების დეტალები და მომავალ კვირას იგინლა კონტრაქტზე მოაწერს ხელს.

ამჟამინდელ სამწლიან კონტრაქტს მომავალ სეზონში გასდის ვადა. იგინლას წლიური ხელფასი 7 მილიონ დოლარს უტოლდება.

## პიტსბურგი ძველ გვარდიას იტოვებს

"პიტსბურგ პინგვინზის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ექვს მოთამაშეს გაუხანგრძლივოს კონტრაქტები. ესენი არიან: მცველები **რაიან უიტნი, რაიან ლენონი** და ფორვარდები - **კოლბი არმსტრონგი, ერიკ კრისტენსენი, ტიმ ბრენტი** და **მაქსიმ ტელბოტი**. ამ ჰოკეისტებს კლუბმა ერთწლიანი ხელშეკრულებები შესთავაზა.

"პინგვინების" რიგებს ტოვებს ორი ჰოკეისტი: მეკარე **ენდრიუ პენერი** და მარჯვენა ფრთა **მიშელ იელე**.

## ფილადელფია ცენტრფორვარდის ძიებაშია

ამ ზაფხულს, რეგულარული ჩემპიონატის აუტსაიდერის, "ფილადელფია ფლაიერზის" მთავარი ამოცანა ორი ძლიერი ცენტრალური თავდამსხმელის შეძენა იქნება. ამჟამად, კლუბის ხელმძღვანელობა **სკოტ გომესის** ("ნიუ ჯერსი"), **დანიელ ბრიერის** ("ბაფალო") და **მიკაელ ნიულანდერის** ("რეინჯერსი") ვარიანტებს განიხილავს. ეს ჰოკეისტები 1 ივლისიდან თავისუფალი აგენტები ხდებიან.

"ფილადელფიას" **კრის დრურის** ("ბაფალო") შეძენაც სურდა, მაგრამ გადაიფიქრა, ვინაიდან ამ ფორვარდმა "სან ხოსეში" თამაშის სურვილი გამოთქვა.

კალათბურთი

## უდრიხმა ევროპაზე უარი თქვა

ესპანეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კიდევ ერთი ლეგიონერი დააკლდება. კერძოდ, სლოვენიის ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა NBA-ის ჩემპიონმა **ბენო უბრიხმა**.

"სან ანტონიო სპურსის" მცველმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ მას უკეთ სურს მომავალი რეგულარული ჩემპიონატისთვის მომზადება.

## ტორონტოს კალდერონი არ სჭირდება?

NEW-YORK DAILY NEWS-ის ინფორმაციით, "ტორონტო რეპტორზი" თავისი ესპანელი მცველის, **ხოსე კალდერონის** გაცვლის ვარიანტებს ეძებს. ამ კალათბურთელმა გასულ სეზონში 77 მატჩი ითამაშა და საკმაოდ მაღალი სტატისტიკური მაჩვენებლები ჰქონდა - 8.7 ქულა და 5.0 პასი.

გარდა ამისა, კანადური კლუბი "გოლდენ სტეიტის" ფორვარდის, **ფლორან პიეტრუსის** მიწვევით არის დაინტერესებული.

## სოპოტი აღარ ხუმრობს

პოლონური "სოპოტი" აგრძელებს მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებას. გუშინ, ევროლიგის მონაწილე გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა სერბული "ცრვენა ზვეზდას" ლიდერმა **მილან გუროვიჩმა** (207 სმ).

აქვე შეგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში, პოლონეთის ჩემპიონმა რამდენიმე ძლიერი კალათბურთელი დაიმატა. მოსკოვის ცსკა-დან გადაიბირა **ტომას ვან შპიგელი** და **ოსკარ ტორესი**, "ხიმკიდან" არგენტინელი ცენტრი **რუბენ ვოლკოვისკი** და ბოლონიის "ვირტუსიდან" გამთამაშებელი **ტრევის ბესტი**, რომელსაც თავისი კარიერის დიდი ნაწილი "ინდიანა პეისერსში" აქვს გატარებული.

## ალბას ახალი მწვრთნელი

გერმანული კალათბურთის ყოფილ ლიდერს, ბერლინის "ალბას" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. მომავალი სეზონისთვის ამ გუნდს სერბი სპეციალისტი **ლუკა პავიჩევიჩი** მოამზადებს, რომელმაც "ალბას" დამრიგებლის პოსტზე **ჰენრიკ რედლი** შეცვალა.

ეს უკანასკნელი ბერლინურ კლუბში ორწელიწადნახევარი მუშაობდა და ამ ხნის განამავლობაში მხოლოდ ერთი ტიტულის - გერმანიის თასის (2006 წელი) მოგება შეძლო.

პავიჩევიჩმა "ალბასთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. გასულ სეზონში ის ბერძნულ "პანიონიოსს" ავარჯიშებდა და გუნდი საბერძნეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა.

ოლიმპიზმი

## ბინები ოლიმპიელებისთვის

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული მედლისთვის, ბელარუსი სპორტსმენები საჩუქრად მინსკში საცხოვრებელ ბინას მიიღებენ. ამის შესახებ ჟურნალისტებს, ბელარუსის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **გენადი ალექსეენკომ** აცნობა.

კალათბურთი

სატრანსფერო ჭორები

# გარნეტი ლეიკერსში?

## ბილაპსმა დეტროიტი იუარა



ჩონსი ბილაპსი

სულ მალე, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მეტად ხმაურიანი ტრანსფერების მოწმენი გავხდებით. **კობი ბრაიანტის, პაუ გასოლისა** და სხვა ვარსკვლავების შემდეგ, ახალ კლუბში გადასვლა მოისურვა "დეტროიტ პისტონზის" ერთ-ერთმა ლიდერმა, **ჩონსი ბილაპსმა**.

თუ ტელეკომპანია ESPN-ს ვერწმუნებით, დეტროიტელთა გამთამაშებელმა ოფიციალურად განაცხადა უარი "პისტონზთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე. ასე რომ, 1 ივლისიდან ბილაპსი თავისუფალი აგენტი გახდება.

თუმცა ESPN იქვე ამატებს, რომ "დეტროიტის" პრეზიდენტი **ჯო დუმარსი** მაინც არ კარგავს 2004 წლის ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშის შენარჩუნების იმედს.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ბილაპსმა რეგულარული ჩემპიონატის 70 მატჩში ითამაშა და საშუალოდ 17.0 ქულა და 7.2 შედეგიანი პასი დააგროვა.

■ ■ ■

"ჩიკაგო ბულსის" გენერალური მენეჯერი **ჯონ პაქსონი** არ ადასტურებს ჭორებს იმის შესახებ, თითქოს "ხარების" რიგებში "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** გადადის. ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ "ჩიკაგოს" ხელმძღვანელობა კობის სანაცვლოდ ორ წამყვან კალათბურთელს, **ბენ გორდონსა** და **ლუოლ დენგს** თმობდა. პაქსონის სიტყვებით, "ლეიკერსის" წარმომადგენლებთან ამ თემაზე საუბარი არასოდეს გამართულა.

ამასობაში, საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს გაზეთი Los Angeles Times. გუშინ, 20-წუთიანი შეხვედრა ჰქონიათ "ლეიკერსისა" და "მინესოტა ტიმბერვულვზის" მფლობელებს, **ჯერი ბასსა** და **გლენ ტეილორს**. საუბარი საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა და ის "მგლების" ლიდერის, **კევინ გარნეტის** "ლეიკერსში" შესაძლო გადასვლას ეხებოდა.

საბოლოოდ, პრეზიდენტებმა ამ გარიგებასთან დაკავშირებით პრინციპულ შეთანხმებას მიაღწიეს და განაცხადეს, რომ ახლა საქმეში გენერალური მენეჯერები უნდა ჩაებან.

Los Angeles Times-ის ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ გარნეტის ტრანსფერი (რომელშიც მესამე კლუბი, "ინდიანა პეისერსი" იქნება ჩართული) ასეთი გეგმით განხორციელდება: კევინი "ლეიკერსში" წავა, ლოს ანჯელესიდან "ინდიანაში" გაემგზავრებიან **ლამარ ოდომი** და **ენდრიუ ბინუმი**, ხოლო "მინესოტა" პეისერსიდან" რამდენიმე ახალგაზრდა კალათბურთელისა და NBA-ის მომდევნო დრაფტებზე მოთამაშეების არჩევის უფლებას მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ 31 წლის გარნეტს მთელი კარიერა "მინესოტაში" აქვს გატარებული. უკანასკნელად, ამ კლუბთან ერთად ფლეი ოფში 2004 წელს გავიდა. კონტრაქტის მიხედვით, "მგლებთან" კევინს კიდევ ორი წელიწადი აკავშირებს, რომლის განმავლობაშიც ის 45 მილიონ დოლარს მიიღებს.

გარნეტმა უკვე არაერთხელ განაცხადა იმის შესახებ, რომ აღარ აპირებს კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებას და ამიტომაც, "მინესოტა" აქტიურად განიხილავს თავისი ლიდერის გაცვლის ვარიანტებს.

კრივი

ვარსკვლავები

# გაიძვერა ჰატონი



ჰატონს გაიძვერა უწოდეს

სწორედ ასე მოიხსენია ბრიტანელი მოკრივე **ფლოიდ მეივეზერ უმცროსის** წარმომადგენელმა **ლეონარდ ელერბემ**, ვინც განაცხადა, რომ შესაძლოა, ფლოიდი რინგს **რიკი ჰატონთან** შესახვედრად დაუბრუნდეს. ელერბეს თქმით, ჰატონი "ხელოვნურად შექმნილი ვარსკლავია და ის ჟურნალისტების ზედმეტი ყურადღებით სარგებლობს.

ეს განცხადება ელერბემ მას შემდეგ გააკეთა, რაც ჰატონმა ლას ვეგასში მსუბუქი წონის ყოფილ ჩემპიონს მექსიკიდან, **ხოსე ლუის კასტილიოს** ნოკაუტით მოუგო და მას IBO-ის ზემსუბუქი (ქვე-როჭოს) წონის ჩემპიონის სარტყელი ჩამოართვა. იმ ბრძოლის შემდეგ, მანჩესტერელმა "ქუჩის ბიჭმა" ბრძოლაში გამოიწვია მეივეზერი, ვინც ყოველთვის აბუჩად იგდებს ჰატონის ჩემპიონობას. თუმცა, შესაძლოა, მეივეზერი იმ ფაქტმა მოხიბლოს, რომ რიკიმ სასტიკი მარცხი აგემა ისეთი დონის ვარსკვლავს, როგორიც კასტილიოა.

ელერბე ამბობს, რომ ალბათ, მეივეზერი დაბრუნდება (რეალურად არსადაც არ წასულა) და ჭკუას ასწავლის თავგასულ ჰატონს, ვისაც ძლიერი მეტოქე არასოდეს ჰყოლია. მენეჯერი კასტილიოს ვარსკვლავად კი თვლის, მაგრამ იმასაც ამბობს, კასტილიო ვარსკვლავი ადრე იყო, როცა **დიეგო მორალესს** ებრძოდა, ახლა კი თავისივე თავის აჩრდილიაო.

*"რიკი ამბობს, რომ მას მხოლოდ საუკეთესოებთან ბრძოლები სჭირდება. ძალიან კარგი. მოაწეროს კონტრაქტს ხელი და მერე ფლოიდი ინგლისში, მის ფანებს დაანახებს, რომ ეს ბიჭი ტრაბახა, გაიძვერაა. მოკლედ, ამ კაცმა ფლოიდის ყურადღება მიიქცია. ახლა ჩვენ ჰატონის ბიჭებს დავუკავშირდებით და ბრძოლის პირობების შეთანხმებას ვეცდებით. მას ისღა დარჩენია, კონტრაქტი გაგვიფორმოს და თავისი სიტყვების სიმართლის დამტკიცება მაინც სცადოს. მასსა და ფლოიდს შორის მხოლოდ ჰაერი და გამოწვევაა. ხელის შემშლელი ფაქტორები არ არსებობს. არაა გამორიცხული, რომ შეთანხმებას ამ კვირაშივე მივაღწიოთ. ეს რომ მოხდება, მერე ჩვენ ყველას დავანახებთ, თუ რატომ არის ჰატონი ტრაბახა და რატომაა მისი შესაძლებლობანი გადაჭარბებული"*, - ამბობს ელერბე.

შეგახსენებთ, რომ პროფესიულ რინგზე არც ჰატონსა და არც მეივეზერს ბრძოლა ჯერ არ წაუგიათ. ამერიკელის ანგარიშზე 38 გამარჯვებაა, ბრიტანელისაზე კი - 43. ოღონდ, ჰატონს თავისი გამარჯვებათა უმეტესობა შინ, მანჩესტერში აქვს მოპოვებული.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი ალადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა